წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 14 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 278

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ... ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტით ... კანელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

## „საქართველო“

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავ. აბესაძე, | რ. გაბაშვილი, | ზ. ედილი, | პოლ. კარბელაშვილი, | Legatus, | ნიკო ნიკოლაძე, | გ. ქიქოძე, | აპ. წულაძე, |
| ი. აბულაძე, | განდეგილი, | ი. გართაგავა, | დ. გ. კარიჭაშვილი, | იას. ლორთქიფანიძე, | თედო სახოკია, | ნ. ყიფიანისა, | დ. ჭიაბრიშვილი, |
| დ. არონიშიძე, | გ. გვაზავა, | გრ. ვეშაპელი, | დ. კასრაძე, | ტ. მარგველაშვილი, | ტ. ტაბიძე, | ხვ. ყიფიანი. | ზ. ჭიჭინაძე, |
| ა. ახათიანი, | ხ. გორგაძე, | ექ. თაყაიშვილი, | დ. კახელი, | კ. მაყაშვილი, | ი. ფერაძე, | გ. ყიფშიძე, | მ. ჯანაშვილი, |
| ალ. ახმეტელი, | გ. გორდეზიანი, | ინ ბანი, | ს. კედია, | ი. მაჭავარიანი, | შ. ქარუმიძე, | ვ. შალიკაშვილი, | ლ. ჯაფარიძე, |
| გ. ბარნოვი, | ვ. გუნია, | პ. ინგოროყვა, | ნ. კურდღელაშვილი, | მელანია, | ს. ქვარიანი, | პროფ. ა. ცაგარელი, | სამხედრო მიმ. ბ-ნი X. |
| ეკ. გაბაშვილისა, | შალვა დადიანი, | ჩ. კაპანაძე, | | შ. მღვიმელი, | | | |

გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა


## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

ოთხშაბათს, 14 ქრისტეშობისთვეს,
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I.
### ჯერ დაიხოცენ მერე იქორწილეს
კომ. 2 მოქ. გ. ერისთავისა.

II.
### ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან
კომ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ ✦ დასაწყისი ხაღამოს 8½ ს.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
(1—300—1)

### „ხარფუხის“ საზოგ. კლუბი
ამით აცხადებს წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ უკანასკნელ ვადათ საწევრო გადასახადის შეტანისა 1917 წ. ითვლება 20 ქრისტეშობისთვე 1916 წ.
(2—296—2)

განცხადება
გამოვიდა და იყიდება მშვენიერი
### ქართული კედლის კალენდარი
კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქუთაისში.
✦ ფასი ოთხი აბაზი ✦
(5—294—1)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის:
სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი
### თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეხუთე)
გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისაა.
ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები.
ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისამდე—3 მ. პირველ ენკენისთვემდე 2 მან.
ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნას“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მიმართულებით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили.
რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ექიმი
### კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი
### ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგების (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
### გ. გ. მუხაძე
მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
### ახალი აფთიაქი
✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტონის ძე
### კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
### მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)


## დასავლეთის კარები

ძველები ამბობდნენ: სინათლე აღმოსავლეთიდან მოდისო. ეს მართლაც ასე იყო, სანამ აღმოსავლეთში სპარსული, არაბული, სირიული და ბიზანტიური კულტურა ჰყვაოდა, დასავლეთ ევროპა კი ნაკლებ დასახლებულ და ნაკლებ დამუშავებულ ქვეყანას წარმოადგენდა. მაგრამ კარგა ხანია, რაც მსოფლიო მნათობი დასავლეთისკენ გადაიხარა და გამანათებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერგია დასავლეთ ევროპიდან ეძლევა კაცობრიობას. ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემცნობი და მომქმედი ერისათვის. უამისოდ მის კერას გაცივება მოელის და მის სხეულს გაყინვა.

ამის შესახებ გუშინ კიდევ შეიძლებოდა კამათი. და გუშინ მართლაც ალაგ-ალაგ კიდევ მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომელნიც უარჰყოფდნენ ევროპის კულტურულ მეთაურობას. განსაკუთრებით რუსეთში ბევრი იყო ისეთი ჯურის ხალხი. თავიანთ თავს სლავიანოფილებს უწოდებდნენ, რაიცა სლავიანური ტომის მიჯნურებს ნიშნავს. ცნობილია, რომ უსაზღვრო სიყვარული ადამიანს ოდნავ აბრმავებს ან ოდნავ ახელებს. სლავიანოფილებსაც ეს მოსდიოდათ. ველარ არკვევდნენ ვერც საგნების ნამდვილ ზომას, ვერც მოვლენების ნამდვილ ურთიერთობას. მათთვის რუსი ვლადიმირ სოლოვიოვი უფრო დიდი ფილოსოფოსი იყო ვიდრე გერმანელი შელლინგი ან ჰეგელი და რუსი დოსტოევსკი უფრო დიდი მწერალი, ვიდრე ინგლისელი შექსპირი. მორჩილებისა და თავმდაბლობის მორალს, რაიცა არსებითად რუსული ხასიათისაა და ყველაზე უკეთ ტოლსტოიმ გამოჰხატა, უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ევროპიულ იდეას ძლიერის დ სრულქმნილის პიროვნებისას. ბევრს ბჭობდნენ ევროპიული კულტურის მოტეხასა და გახრწნაზე და საბოლოო დამხობას უწინასწარმეტყველებდნენ. კაცობრიობის განახლებასა და ხსნას რუსეთის მხრით ელოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ აზროვნების საფუძველი უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ისტორიულ-ფილოსოფიური და მისტიური ბურუსის მიუხედავად მას საგრძნობლად ყაზახური ჩექმების სუნი უდიოდა. დღეს მისი უსუსურობა გამოაშკარავდა. აღმოჩნდა ის, რაც წინათაც ნათელი იყო მიუდგომელი მეთვალყურესთვის. არ არსებობს ჩამოყალიბებული ტიპი სლავიანური კულტურისა. არსებობს მხოლოდ დიდი დასავლეთ-ევროპიული კულტურა, რომელიც ძლიერმა ლათინურმა და გერმანულმა ტომებმა შეჰქმნეს. სლავიანებმა მხოლოდ მეტნაკლებად ამ კულტურის ელემენტები შეითვისეს: პოლონელებმა უკეთ, ვიდრე რუსებმა, ჩეხებმა უკეთ, ვიდრე სერბებმა.

მსოფლიო ომი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ევროპიულმა კულტურამ უცილობლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა: სჩანს ჯერ კიდევ არ მოტეხილა, როგორც ერთს დროს ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია მოტყდა, სჩანს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს არაჩვეულებრივი მოქნილობა, არაჩვეულებრივი ნიჭი გაახალგაზრდებისა და განახლებისა.

მართლაც კულტურის ახალგაზრდობა ხომ მარტო წლებზე არ არის დამოკიდებული. რუსული კულტურა მცირეწლოვანია, მაგრამ როგორც თვით რუსის მწერლებმა სწორედ აღნიშნეს (მ. გორკიმ, მ. მენშიკოვმა და სხვ.), მას უკვე აშკარად ეტყობა სიბერისა და გადაგვარების ნიშნები. რაღაც დამბლის მსგავსი სნეულება დასჩემებია და ამ სნეულების შედეგი უმოქმედობა და უნაყოფობაა. ნათელი გონების ადგილი ოცნებას და ფანტაზიას დაუჭერია, მძლავრ ვნებათა ღელვის ადგილი—ავადმყოფურ მგრძნობიარობას. ნებისყოფა შებოჭილია, პრაქტიკული მოქმედება დასუსტებული. ეს ეროვნული სენი, სხვათა შორის, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ რუსეთი ნახევრად ევროპიული, ნახევრად აზიური ქვეყანაა და თავის არსებაში იმ თავითვე გამთიშავ ძალებს ატარებს. უკვე საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც მონგოლთა ურდოებმა რუსის ხალხის ბუნებას დაოსებული აღმოსავლეთის სული დაამყნეს. ასე რომ დღეს ყველაზე მეტად სწორედ ამ მცირეწლოვან ხალხს ესაჭიროება ახალგაზრდობის ჯადოსნურ წისქვილში გავლა.

ახალი ხანა იწყება კაცობრიობის ცხოვრებაში. თანამედროვე საომარ და სამრეწველო ტეხნიკაში გამოაშკარავდა უმაგალითო დაგროვება და შენივთება ადამიანური ნებისყოფისა, რომელმაც ლამის მთელი დედამიწის ზედაპირი წალეკოს. კაცობრიობა ახალი იდეალების მიხედვით ეწყობა. ამ იდეალებში მამაკაცური თვითმოქმედება სჭარბობს დედაკაცურ მიმღეობას. ყოველი ცოცხალი ერი იძულებულია თავისი შესაფერი ადგილი გამონახოს ამ ახალს საერთაშორისო წეს-წყობილებაში.

ჩვენს სამშობლოს იმდენად ძირითადი კულტურული ფონდი არ ესაჭიროება, რამდენადაც მოძრავი კაპიტალი: რაიცა უფრო ადვილი სასესხებელია დღესდღეობით. ეროვნული ნიადაგი, ამ სიტყვის პირდაპირი და ნართაული მნიშვნელობით, ჩვენც მიგვარივე გვაქვს, როგორც დასავლეთ ევროპას. ჩვენი დედამიწა იმავე ათასწლოვანი კულტურული შრომითაა გაპოხიერებული; მისი გული იმავე ინდუსტრიული მადნითაა მდიდარი. ასე რომ დღეს უფრო ახალი თესლი და ახალი შრომის მეთოდები გვესაჭიროება, ვიდრე ნიადაგის გამოცვლა ან გადაბრუნება. საჭიროა, რომ დასავლეთის კარები ფართოთ გავაღოთ, რათა უხვად შემოვიდეს ევროპიული იდეები და შეხედულებები.

ესეცაა, რომ იდეები მოგზაურობენ და მათ მოხერხებული და გატკეპნილი გზები სჭირდებათ, როგორც ადამიანებს და საქონელს. თუ აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოა, რომ ჩვენს ქვეყანასა დ დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო ამართული: გაუნათლებელი ოსმალეთი და ნაკლებ სტუმართ-მოყვარე შავი ზღვა. მაგრამ რაც გუშინ დაუძლეველი ზღუდე იყო, ხვალ შეიძლება შემაერთებელ ხიდად იქცეს. შავი ზღვა უკვე ჰკარგავს დახურულ აუზის ხასიათს და გაშლილი მსოფლიო გზების სისტემაში ებმება. სამხრეთით სრუტეების ნაპირას თან და თან მატულობს ცხოვრების მაჯისცემა. ეს კიდევ ცოტაა. გერმანელებს განუძრახავთ შავი ზღვის უდიდესი ძარღვი—მდინარე დუნაი ხელოვნური არხის საშუალებით ჩრდილოეთის ზღვის უდიდეს ძარღვს—მდინარე რეინს შეუერთონ. უეჭველია, რომ ამ განზრახვის განხორციელება დიდხანს არ დაყოვნდება. ყველაზე მეტად კი ეს ჩვენი ქვეყნისთვის იქნება ხელსაყრელი.

ევროპაში დღეს თუ არა ხვალ დაიწყება დირიჟაბლებითა და ჰაეროპლანებით მოგზაურობა და საქონლის გადაზიდვა. გერმანიაში ამ მიზნით უკვე პირველი სააქციონერო საზოგადოება შესდგა: იქ კიდეც არსებობს საჰაერო ფოსტა, რომელიც საჩქარო წერილებს ჰაეროპლანების შემწეობით აგზავნის; არსებობს აგრეთვე რამდენიმე საჰაერო მიმართულება კერძო პირების მიმოსვლისათვის. ასეთი მოგზაურობა დაახლოებით იმდენივე ჯდება, რაც რკინის გზით და სამჯერ უფრო ჩქარა სწარმოებს, ვიდრე ჩქარი მატარებლით: სამგზავრო ჰაეროპლანი საათში თითქმის 250 ვერსს გადის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ახალი ტეხნიკის შემწეობით სრულიად იშლება ძველი გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული საზღვრები. საერთაშორისო ურთიერთობა უფრო მჭიდრო და წესიერი ხდება. ასეთ პირობებში იმედია ქართველი ერიც თავს დააღწევს ვიწრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო მომწყვდეული და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა.

გერონტი ქიქოძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის ასპარეზზე სასტიკი ბრძოლა ქ. რიმნიკის წინაამდეგ სწარმოებს. მოპირდაპირეს სამივე მხრიდან გაშმაგებული იერიშები მიაქვს რუს-რუმინელთა ჯარების წინაამდეგ, რომელნიც ხსენებულ ქალაქს იცავენ და აიძულებს უკანასკნელთ უკან დაიხიონ. გენ. ფალკენჰაინისთვის ქ. რიმნიკს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ამ ქალაქის დაპყრობით საშუალება ეძლევა მას, მდ. რიმნიკის ნაპირებით ქ. გალაცისაკენ დაეშვას და გზა გადაუჭრას რუმინელთა მთელ იმ ჯარს, რომელიც ეხლა მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე დროგულის რაიონში მოქმედობს. ამ განზრახვას ერთგვარად ადასტურებს მოპირდაპირის მოქმედება ხსენებულ სოფელთან. მაშინ როდესაც ჩრდილოეთით მათს იერიშებს მრავალი ძლიერი არტილერია ეხმარება და საზოგადოთ მთელს მათს ოპერაციას უფრო სწრაფი, უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს, ცენტრში ამის მგზავს არაფერსა ვხედავთ. უკანასკნელი გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოპირდაპირე დროგულის მიდამოებში უფრო ფართო დემონსტრაციას ახდენს. მას შემდეგ კი, რა წამს გენ. ფალკენჰაინის ლაშქარი ქ. რიმნიკს დაეპატრონება, უეჭველია, ცენტრშიაც გაცხოველდება მოქმედება მოპირდაპირის მხრივ და უკანასკნელი შეეცდება ბუზეო-გალაცის რკინის გზის გადაჭრას.

საზოგადოთ რუს რუმინელთა ჯარის მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ყოვლად შეუძლებელია მოკავშირეთ არ დაიხიონ და სერეტზე არ გადვიდნენ.

ქ. რიმნიკის აღებას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მოლდავეთის ბრძოლის ველისათვის. რაკი ამ მიდამოდან გენ. ფალკენჰაინი ფოქშერის ველში გამოვა მარცხენა ფრთით, მაშინ იგი მუქარას დაუწყებს მთელ იმ ჯარს, რომელიც მოლდავეთში მოქმედობს.

დობრუჯი ფაქტიურად რუს-რუმინელთა ჯარმა უკვე დასტოვა და მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა.

X.

## ომის დეპეშები

**13 ქრისტეშობისთვე.**

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. ბისტრიცაზე ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს სტარი ლისეცის მიდამოებში და ხელთ იგდეს ტყვეები, ვინტოვკები და ხელის ყუმბარები. ტყიან კარპატებში მოლდავეის საზღვარზე, მდ. უსის ჩრდილოეთ მიდამოებში, მოპირდაპირემ რამდენჯერმე ზედი-ზედ შემოგვტია და ჩვენი აღებული მაღლობები ჰსურდა დაებრუნებინა, იერიშებს წინ უძღოდა ხოლმე მედგარი ქარიშხლისებური ქუხილი ზარბაზნებისა. ჩვენი ჯარი თხრილებამდე მოუშვებდა მოპირდაპირეს, მერე სროლას აუტეხდნენ, ხელის ყუმბარებს უშენდნენ და ჰხოცდნენ! იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. აქ ფერდობების სამხრეთი ნაწილი მოკლულებითაა მოფენილი. მთელი დღის განმავლობაში ხელთ ვიგდეთ 8 აფიცერი, 218 ჯარის კაცი, 2 ტყვიისმფრქვეველი და 1 ყუმბარების მტყორცნელი.

**კავკასიის ასპარეზზე** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. კასინის მიდამოებში და ვრაჩეას მთებში მოპირდაპირე წინ სვლასა და იერიშებს განაგრძობდა და ადგილ-ადგილ რუმინელებს უკან ახევინებდა.

11 ქრისტეშობისთვეს დილიდანვე მოპირდაპირე მძიმე და მსუბუქ ზარბაზნებს უშენდა ჩვენს ჯარს ბუზეო-რიმნიკის გზატკეცილის ორივე მხარეს და საკარინიულ-ბალენეჩეულის მიდამოებში. განსაკუთრებით ძლიერი სროლა აგვიტეხეს ამ შარა-გზის ჩრდილოეთით, რის შემდეგაც იერიშებით წამოვიდნენ და რაკოვიჩენის სამხრეთით მდებარე მაღლობი აიღეს. სამაგიეროთ იერიშებით ამ ადგილიდან მოპირდაპირე გავდევნეთ, მაგრამ ჩვენი ჯარი ისევ მალე გამოერიდა, რადგანაც მოპირდაპირემ ყუმბარებით გაავსო იქაურობა. მდ. დუნაის მარცხენა ნაპირას მოპირდაპირეს უფრო ცხარე იერიშები მოჰქონდა დროგულის მიდამოებში, მაგრამ მოვიგერიეთ. დობრუჯში ჩვენმა ჯარმა მარჯვენა ფრთაზე დასტოვა ისაკჩე და ტულჩი, რომლებიც მტერმა დაიპყრო. მარჯვენა ფრთაზე მთელი დღის განმავლობაში ზარბაზნების სროლა იყო ორივე მხრიდან, უფრო მედგარი სროლა სწარმოებდა დუნაის მიდამოებში სოფ. გრეჩთან.

**12 ქრისტეშობისთვე.**

**ლონდონი.** (დაგვიანებულია). საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. გუშინ გერმანელების ძლიერი რაზმები მოუახლოვდნენ ჩვენს ბანაკს ლანსის პირდაპირ. მხოლოდ რამდენიმე გერმანელი შემოიჭრა ჩვენს სანგრებში, მაგრამ მალე გავდევნეთ და მთელი რაზმიც უკუვაგდეთ. გუშინ მოულოდნელად შევიჭრეთ არასის ჩრდილოეთით მდებარე მოპირდაპირის სანგრებში და 50 ჯარისკაცი დავატყვევეთ. ზარბაზნების მედგარი სროლა დღესაც გრძელდება სომასა და ანკრს შუა, იპრის მიდამოებში.

მრავალჯერ მოხდა საფრენების ბრძოლა. მოპირდაპირის 1 საფრენი გავანადგურეთ, 6 დავაზიანეთ და იძულებული გავხადეთ ძირს დაშვებულიყო. ჩვენ 4 საფრენი გვაკლია.

**13 ქრისტეშობისთვე.**

**ოდესა.** რუმინეთიდან მიღებულ ცნობებით, რუმინეთის ასპარეზიდან მაკედონიაში უკვე ნაწილ-ნაწილობით გადაჰყავთ გერმანელებს ჯარი. რაზმის უფროსებად მხოლოდ გერმანელები არიან.

**ლონდონი.** წუხელ მოულოდნელად დავეცით მტრის სანგრებს იპრის სამხრეთით, ბლეფის მახლობლად და ზარალი მივაყენეთ. ბუსინგეს მახლობლად მოპირდაპირე ზარბაზნების ცეცხლის შემდეგ ერთბაშად იერიში მოიტანა და მცირე რამ ზარალი მოგვაყენა.

**პარიზი.** შვეიცარიის ფედერატიულმა მთავრობამ პარიზში მყოფ წარმომადგენელს დაავალა, საფრანგეთის მთავრობას გადასცეს შვეიცარიის ნოტა, რომლითაც იგი უილსონის წინადადებას ემხრობა ზავის თაობაზე.

**კოპენჰაგენი.** ისლანდიაში ახალი სამინისტრო შესდგა სამის წევრისაგან, პრემიერად აირჩიეს ავტონომისტი მაგუსონი. ეხლა ისლანდიის პარლამენტში 15 ავტონომისტია, 2 სამინისტროს მომხრე, 11 დამოუკიდებელთა პარტიისა, 13 ახალგლეხთა პარტიისა.

**პარიზი.** ელისეს სასახლეში გუშინ საღამოს პუანკარეს თავმჯდომარეობით სამხედრო კომიტეტის სხდომა მოხდა. დაესწრო გენერალი ლიოტი, სხდომამ დაადგინა, რომ ყველა საკითხები ომის სამზადისისა და წარმოებისა გენ. ლიოტის ხელმძღვანელობით უნდა განიხილებოდეს, ხოლო ის აცნობებს სათანადო სამინისტროებს და გენერლებს მიღებულ გადაწყვეტილებას.

**პარიზი.** საღამოს 6 საათზე სენატის ფარული სხდომა მოხდა, რომელმაც 194 ხმით 60 წინააღმდეგ დაადგინა: სენატი აცხადებს, რომ საფრანგეთს არ შეუძლიან ზავის ჩამოგდება,, სანამ მისი მიწა-წყალი მტრის ხელშია საფრანგეთს გადაჭრით აქვს გადაწყვეტილი, რომ ომი სრულ გამარჯვებამდე განაგრძოს.

**ბერნი.** შვეიცარიის კავშირის საბჭომ 10 ქრისტეშობისთვეს ნოტა დაუგზავნა მეომარ სახელმწიფოებს, სადაც შვეიცარიის მთავრობა, მშვიდობიანობის დამყარების სურვილით გამსჭვალული, მზათაა თავისი სუსტი ძალით ხელი შეუწყოს ომის საშინელებას, შეეცდება გამოსძებნოს ერთა თანხმობით ცხოვრების საფუძვლები და სიამოვნებით ეგებება უილსონის წინადადებას ზავის თაობაზე.

**კიევი.** აქ მოვიდა პირველი წყება იაპონურ ფეხთსაცმლისა. ქალის ფეხსაცმელი 14 მანათად ფასობს, ბავშვებისა—9 მან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ზავის გარშემო.

**გერმანეთი.**

„კელნიშე ცეიტუნგი“ სწერს: ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ზავის პირობები მივჩქმალეთ. პირიქით, ჩვენ ასეთი ნაბიჯი ბრძნულ საქციელად მიგვაჩნია. ჩვენმა კანცლერმა უკანასკნელ სხდომაზე მაღლა ასწია დროშა, რომელზედაც ეწერა: „თავისუფლება ყველა ერებს! თავისუფლება ზღვაზე!“ ესეც საკმარისია ზავის მოლაპარაკების დასაწყებად. მაგრამ თუ მოკავშირე სახელმწიფონი ჩვენს წინადადებას უარჰყოფენ, ისეთს დაუნდობელ წყალქვეშა ბრძოლას გავაჩაღებთ, რომ ვერავითარი ამერიკა ხელს ვერ შეგვიშლის ჩვენს მოპირდაპირეებს ვაკისრებინოთ ჩვენთვის სასურველი ზავი.

—

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: დიპლომატიამ უნდა იყუჩოს და მხოლოდ სამხედრო წოდების წარმომადგენლები უნდა ალაპარაკდნენო. რაკი მოკავშირეთა უარჰყვეს ზავზე მოლაპარაკების წინადადება, რომელსაც ჩვენი ხალხი ასეთის აღფრთოვანებით შეეგება, ეხლა იარაღის ძალით უნდა მოვიპოვოთ ზავი და სწრაფი მოქმედებით დავარწმუნოთ მტრები, რომ ვერასოდეს ვერ შეგვმუსრავენ.

—

„ფრანკფურტ ცაიტუნგ“-ი სწერს: გერმანეთის პირობები არსებითად იგივეა, რასაც მოკავშირენი ესწრაფიან და დიდათ შეეფერება კულტურულ კაცობრიობის სურვილებს, რათა უზრუნველ იქმნეს ხანგრძლივი მშვიდობიანობა და შეიარაღებაც შემცირდეს. გაზეთი სწერს: ჯერ არც გამარჯვებულია ვინმე, არც დამარცხებული, ნებაყოფლობით მორიგება კიდევ მოსახერხებელია. მაგრამ, როდესაც რომელიმე მოპირდაპირე დამარცხდა, ძალად ნაკისრი ზავი დასთესს მძულვარებას, შურის ძიების წყურვილს და დაუშრეტელი წყარო იქნება მსოფლიო ახალ ომიანობისა.

—

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: დარწმუნებული უნდა იყვნეთ, ინგლისის პასუხი გარეგნობით უფრო რბილი იქნება ვიდრე რუსეთისა, სამაგიეროდ უფრო შეუბრალებელი. ჩვენი ერთადერთი პასუხი ასეთია: თუ ჩვენი საზავო წინადადება უარჰყვეს, უნდა ვეცადნეთ ინგლისს შიმშილით მოვახრევინოთ ქედი. ინგლისელებს ჰსურთ საფრანგეთში კიდევ 1 მილიონი ჯარი გადასხან. ამ საქმეს საერთოდ 62 მილიონ ფუთის მზიდველი გემები დასჭირდება, მაგრამ განა ჩვენს წყალქვეშებს კი სძინავთ. ამ შემთხვევაში ამერიკას დასჭირდებოდა საერთო ვარაუდით 724 მილიონ ფუთის მზიდველი გემები, რადგანაც ასეთს დიდს მანძილზე კაცის თავზე 724 ფუთი უნდა ვივარაუდოთ.

გაზეთი სწერს: ყოველი დაპყრობილი ადგილი, რომელიც პრუსიას შეუერთდება, კაიზერს უნდა ემორჩილებოდესო. პოლონეთის სამეფო ისე უნდა მოეწყოს, რომ პრუსიას იქ სამხედრო პროტექტორატი ჰქონდეს.

ასეთი ზავის მოპოვება შესაძლებელია, რადგანაც ინგლისის შემუსვრა უფრო ადვილია, ვიდრე რუსეთისა და ლონდონის განადგურება უფრო ადვილი, ვიდრე მოსკოვისა; მოსკოვის განადგურებას სისხლი დასჭირდება, ლონდონისას კი—ყუმბარებიო“.

გაზეთი დასძენს: ჩვენ ჯერ იქამდე არ მოვმწიფებულვართ, რომ მსოფლიო იმპერიას განვაგებდეთ. ჩვენ არც შეგვიძლიან და არც გვსურს ინგლისის სახელმწიფოს მოსპობა. მაგრამ გერმანეთის ზავისათვის საჭიროა საფრანგეთის განადგურება; ზავს დასავლეთი უნდა შეეწიროს მსხვერპლად და გერმანეთის გავლენა ქვეყნიერების ყველა ოკეანებზე უნდა გავრცელდესო“.

### ზავის პირობები.

სანამ გერმანეთის კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი ზავის წინადადებას დაუგზავნიდა მოპირდაპირე სახელმწიფოებს, გერმანელ მრეწველთა გაზეთ Rhein-Westf Z-g“-ში საგულისხმო წერილი დაიბეჭდა: „ხუთი პრინციპი ზავისა“, სადაც ნათქვამია:

1) ჩვენი მტერი დასავლეთით არის. ინგლისელები და ფრანგები ათ-წლობით ამზადებდნენ დღევანდელს ომს, თუმცა ამზადებდენ უფრო გაზეთების ჰორებით. ჩვენ უფრო უკეთესი აზრისანი ვიყავით ინგლისზე: მათ შესძლეს ჩვენს წინააღმდეგ მთელი ქვეყნიერების ამხედრება, მაგრამ მხოლოდ მელნით ომის მოგონება არ შეიძლება. გერმანეთის ცხრა-მეათედი მოწადინებულია ერთხელ და სამუდამოდ გაუსწორდეს ინგლისსა და საფრანგეთს.

2) მეომარ სახელმწიფოთაგან მხოლოდ ორი „გერმანელი ერი“ გერმანეთი და ინგლისია, რომელთაც დაპყრობილი აქვთ უცხოთა მიწა-წყალი, გიჟის მსგავსად, თუმცა გერმანეთს გაცილებით მეტი ღირებულობის ადგილები უჭირავს, ვიდრე ინგლისის მიერ დაჭერილი ახალშენებია.

3) გერმანეთის მტერი ან მთლად განადგურდეს, ან გერმანეთს უნდა შეურიგდეს. თუ შერიგება ვერ მოხდა, მაშინ დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში არავითარ საშუალებას არ მოვერიდებით. ჩვენ გზა უნდა გავიკაფოთ ოკეანისაკენ და რაც კი გზაზე გადაგვეღობება ყოველისფერს მოვსპობთ.

4) ჩვენ ვადგივართ ბალკანეთის ძველს პრინციპს „რაც დაიპყარ შენია“. ყოველ მტკაველ მიწაზე, რასაც ზავზე მოლაპარაკების დროს ჩვენ ხელთ იქნება, მტერი ღირსეული საფასურს უნდა ჩამოვიდეს. ფრანგებს დღე მუდამ უნდა ჩავჩიჩინოთ, რომ ყოველი დაპყრობილი ადგილი საფრანგეთისა ჩვენს ხელში დარჩება. ბელგიაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ჩვენთვის საჭიროა ანტვერპენი ლამანშში გასასვლელ გზად. ვინც ბელგიის აღდგენას მოითხოვს, მობრძანდეს და წაგვართვას.

5) ჩვენ უნდა გავაძლიეროთ გერმანეთის იმპერია, მაშასადამე, უნდა გავაძლიეროთ იმპერიის დედა-ძარღვი—პრუსია.

**შეიდემანის ნათქვამი.**

„კიოლნიშე ცაიტუნგ“-ი იტყობინება: გერმანელ სოციალ-დემოკრატიის ბელადმა შეიდემანმა კიოლნში განაცხადა: „არასოდეს არ მითქვამს, ვითომ რაც რუსეთს ეკუთვნოდა რუსეთსვე უნდა ეკუთვნოდესო. არსებითად კანცლერის აზრს ვიზიარებ. თუ ჩვენს ზავის პირობებს უარყოფენ, უკანასკნელ კაცამდე უნდა ვიბრძოლოთ, რადგანაც მაინცდამაინც ზავის შეკვრა ჩვენი ქვეყნის სიკვდილს უდარება. თუ ჩვენი მეომრები ბრძოლის ველზე იხდიან თავის მოვალეობას, ჩვენ შრომის ბევრის მოხდით უნდა აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობაო“.

### ლლოიდ-ჯორჯის განცხადება.

თემთა პალატაში ლლოიდ-ჯორჯმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საგარეო პოლიტიკაზე. მან სრული ორი საათი ილაპარაკა. სხვათა შორის განაცხადა: რუმინეთის მარცხმა მართალია ომი უფრო გააგრძელა, მაგრამ ამას არსებითი შედეგი არ მოჰყოლიაო.

საბერძნეთის თაობაზე კი სთქვა: „მოკავშირენი ეხლა სერიოზულ საზრუნავს მისცემიან საბერძნეთის მდგომარეობის გამო; რათა თავიდან აიცილონ შეცდომები, ვენიზელოსის დროებით მთავრობას კანონიერად ალიარებენო.

### გერმანეთი.

„ბერ. ტინდ.“ ი გადმოგვცემს, რომ გერმანეთის სამხედრო-საეკონომიო განყოფილების უფროსმა გენერალმა გრენერმა მოითხოვა, გერმანეთში გაიგზავნოს ბელგიიდან სამასი-ათასი მუშახელი, საფრანგეთიდან ორასი-ათასი, პოლონეთიდან ხუთასი-ათასი. ეს მილიონი მუშახელი ქარხანა-მაღაროებში იმუშავებენ, ხოლო იქ მომუშავე გერმანელებს ბრძოლის ველზე გაისტუმრებენო.

## უკანასკნელი ცნობები

**ავსტრიასა და ჰუნგრეთში რამდენიმე დღეა სახალხო მატარებლის მიმოსვლა შეჩერებულია. ეს შეჩერება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ბალკანეთიდან ჯარი და სამხედრო სურსათი გადააქვთო.**

—

**ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭოში განიხილავენ სამხედრო ცენზურის შესახებ კანონპროექტს.**

—

**საბერძნეთს ალყა აქვს შემორტყმული; რუსეთის და იტალეთის ელჩებს გარდა, ყველანი ნეიტრალ სამეფოს გემზე გადავიდნენ. იტალეთი მეტად არაჩვეულებრივად იქცევა და თითქოს მეფე კონსტანტინეს მფარველობს კიდეც. იტალეთის ელჩი დღემდე ათინაშია.**

—

**ჟენაში მყოფმა მთაშაველის ბატონიშვილმა მირკომ ფრანც-იოსების სამარესთან ილოცა.**

## ახალი ამბავი

**სასახლეში**

✦ მეფის ნაცვალს წარუდგნენ სადარბაზოდ საქართველოს ეგზარხოსი მ. ყ. უ. პლატონი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბ-ნი კრუპენსკი.

**ქართული დაწესებულებანი.**

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** კრება გაიმართება ხვალ, დეკემბრის 15-ს, საღამოს 8 საათზე, საზოგადოების კანცელარიაში. წევრებს უწყებები არ გაეგზავნებათ.

✦ **დეპეშა.** ქ. საქველმოქ. საზოგ. გამგეობის თავმჯდომარემ მ. ვ. მაჩაბელმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მათის უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტის თავმჯდომარეს: „ბათომის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი რომანოვსკი-რომანკო სთხოვს საქველმოქ. საზოგ. ბათომის რაიონულ განყ. გამგეობას წარუდგინოს საოლქო კომიტეტს დასამტკიცებლად ხარჯთ-აღრიცხვანი იმ დაწესებულებათა, რომელიც ინახება მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტის მიერ. ეს ხარჯთ-აღრიცხვანი კი უკვე დამტკიცებულია ტატიანე ნიკოლოზის ასულის კომიტეტის მ. ერ. მთავარ გამ. აცნობა თვის განყოფილებას ბათომში, რომ აცნობოს საოლქო კომიტეტს ეს ამბავი და განუმარტოს, რომ საოლქო კომიტეტს ხელ-ახლა დამტკიცების უფლება არა აქვს. თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორები ამნაირ მოთხოვნილებას არ უდგენენ ქ. საქვ. მთავარ გამგეობას. გვაცნობეთ დეპეშით, როგორ მოვიქცეთ.

✦ **მშობელთა წრეს,** ქართულ გიმნაზიასთან არსებულს, 12 ქრისტეშობისთვეს გიმნაზიის შენობაში კრება ჰქონდა მთავრობის საშუალო მასწავლებლებში ქართულ ენის სწავლების შესახებ და დაადგინა: 1) არჩეულ იქმნას კომისია და დაევალოს შეიმუშაოს მოხსენება მთავრობის საშუალო სასწავლებლებში საღმრთო სჯულისა, ქართულ ენისა, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღების შესახებ და აგრეთვე პროექტი იმ მუხლებისა, რომელნიც შეტანილ უნდა იქმნენ სახელმწიფო სათათბიროს განსახილველ საგიმნაზიო კანონ-პროექტში; 2) მოხსენებაში შეტანილ უნდა იქმნეს საქართველოს საშუალო სასწავლებლებში საღრთო სჯულის, ქართულ ენისა, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხის ისტორია, ახლანდელი მდგომარეობა და დასაბუთება ამ საგანთა სწავლების შემოღების საჭიროებისა; 3) ეს მოხსენება და პროექტი განხილულ უნდა იქმნას მშობელთა წრის გამგეობის სხდომაზე და შემდეგ დაევალოს მშობელთა ცენტრალურ წრეში იმისი დაცვა იმ პირთ, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას ცენტრალ წრეში ამ საკითხის განხილვის დროს. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ექვ. თაყაიშვილი, დავ. კარიჭაშვილი, გრ. ცინცაძე, ვას. ბარნოვი, ალ. ჭიჭინაძე და სერ. გორგაძე.

**სომეხთა შორის.**

✦ **სომეხთა კათოლიკოსმა** ცირკულიარი დაუგზავნა ეპარქიათა უფროსებს, გამოუცხადონ ხალხს, რომ, სიძვირისა და გაჭირვების გამო, მომავალ დღესასწაულზე გულუხვად დააჯილდოვონ თავიანთი მღვდლები.

**სხვა და სხვა ამბები.**

✦ **ნაფიც ვექილთა თათბირი.** 11 ამა თვეს თბილისის ნაფიც ვექილებს თათბირი ჰქონდათ ვექილთა საბჭოს ორგანიზაციის შესახებ და დაადგინეს: 1) არა უგვიანეს 5 იანვრისა თბილისში მოწვეულ იქმნან კავკასიის ქალაქთა ვექილები საბჭოს ასარჩევად; საბჭოში შედიოდეს 15 წევრი, რომელთა შორის თბილისის ვექილთაგან იქნება 11 კაცი, ბაქოსაგან 2, ქუთაისისაგან 1 და კავკავისაგან 1; 3) კრების მოწვევა და კრებისათვის ბინის შოვნა დაევალოს საგანგებო საორგანიზაციო ბიუროს, რომელშიაც არჩეულ იქმნენ ი. ბარათაშვილი, შ. მესხიშვილი, ნ. ელიავა, ი. დოლუხანოვი, მ. გრუზენბერგი, მ. ანდრეევი, ბ. ბროდსკი, ა. კუსიკოვი და გ. ხუტისოვი.

ამაზედ ცოტა ადრე მოხდა ქართველ ვექილთა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა, რომ საბჭოს არჩევნებს ეროვნული ხასიათი არ მიეცეს. ამავე კრებამ შეიწყნარა გ. დიასამიძისა და ნ. ელიავას წინადადება, რომ თბილისში დაარსდეს ქართველ ვექილთა საზოგადოება.

✦ **ქალაქთა კავშირში.** გაემგზავრენ ბათომს ტრაპიზონის ფრონტის კომიტეტი; კომიტეტის მთავარ რწმუნებულად ი. ა. გოგოლაშვილია, ხოლო რწმუნებულებად არ. ჯაჯანაშვილი და ი. ო. ნემიროვსკი.

✦ **დიდი გაჭირვება.** ქალაქთა კავშირის ბაქოს კომიტეტი, როგორც თითონვე აცხობინებს განყოფილებას, დიდს გასაჭირს განიცდის თურმე ხარჯების გასაძღოლად საჭირო თანხის უქონლობის გამო.

✦ **მატარებლების დაჯახება.** ყარსის გზაზე სად. კალაგერანიდან მიმავალი საქონლის მატარებელი დეეჯახა მომავალ საქონლის მატარებელს, რადგან ორნივე ერთს ლიანდაგზე გაეშოთ. დაიმსხვრა 2 ორთქლმავალი და 8 ვაგონი. მძიმეთ დაშავდნენ მემანქანენი და რამდენიმე კონდუქტორი.

✦ **თბილ. სახალხო უმაღლესი კურსები.** ჩამოვიდა დამსახურებული პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა ი. ოგნევი, კურსების მიერ მიწვეული გისტოლოგიის კათედრაზე.

✦ **ტრამვაის ახალი ტარიფი.** ქალაქის საბჭოს მიერ დადგენილი გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა.

✦ **სამღვდელოების კრებამ** გუშინ შეიმუშავეს ტექსტი უქვეშევრდომილეს დეპეშისა. მსჯელობა ჰქონდა საქართველოს სიძველეთა შესახებ და საბოლოოდ ამ საკითხის გადაწყვეტაჯერ გადასდო. აირჩია ორი კომისია. პირველ კომისიაში, რომელმაც სანთლის ქარხანას რევიზია უნდა გაუკეთოს, შევიდნენ: მ. მ. კომარი, ღარიბოვი, ჩიტაძე და შიშიაშვილი, მეორე კომისიაში, რომელმაც დედათა საეპარქიო სასწავლებელში უნდა მოახდინოს რევიზია, შევიდნენ მ მ. კოლობოვი, ქეირანაშვილი, შიუკაშვილი და ბეგიზოვი.

✦ **გადმოხვეწილთათვის** დასარიგებლად ქალაქთა კავშირის განყოფილებამ ტანთსაცმელებით სავსე 4 დიდი ყუთი მიიღო ლონდონიდან იქაურ ლორდ-მერისაგან.

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის თბ.** საგუბერნიო კომიტეტის სხდომა 12 ქრისტეშობისთვეს შესდგა. კრებამ მსჯელობა იქონია თბილ. გუბერნიაში სპეციალ ახალ სასწავლებლების დაარსების შესახებ.

✦ **უშეშუობის** მიზეზით არამიანცის სახელობის საავადმყოფოს ოთახები არ თბება და ვერც ავადმყოფებს აბანებენ ცივს წყალში. საჭმლის მოსახარშად ნავთი იყიდეს, მაგრამ უხეირხული გამოდგა. საავადმყოფო დიდს გასაჭირს განიცდის.

✦ **აბანოების პატრონებმა** მეტისმეტად ასწიეს ბანაობის ქირა. ზოგიერთ აბანოში კაცის თავზე ნაცვლად სამი შაურისა ორ აბაზს ღებულობენ. ქალაქის გამგეობა რამდენადმე ეხლა გამოფხიზლდა და ამ საგნის შესახებ რაიმე ნორმის გამორკვევას აპირებს.

✦ **ტელეფონებზე,** მიმდინარე წლის მსგავსად, საგაისოდაც გადაწყვეტილია თითო თუმანი ბაჟის დადება ხაზინის სასარგებლოდ.

**ქუთაისი.**

რამდენიმე დღეა, „სამშობლო“ არ გამოსულა. მუშაობა მუშებს შეუჩერებიათ, რადგან სამუშაო ფული არ მიუღიათ. ცნობილი ქველმოქმედი აკაკი ხოშტარია 10,000 მან. დაჰპირებია ამ გაზეთს.

— საქონლის ჭირმა მუსრი გაავლო შინაურ საქონელს. ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიის 50 ალაგას მძვინვარებს ჭირი. მთელს გუბერნიაში მხოლოდ 4—5 ბეითალია. საზოგადოების წარმომადგენელი თ. მექი ფალავას, იაკ. ფანცხავას და იას. ქუთათელაძეს დავალებული აქვთ ინახულონ მეფის ნაცვალი და სთხოვონ განჯისა და ბაქოს გუბერნიებიდან დროებით გადმოყვანილ იქმნეს სასანიტარო შტატი ბეითალთა.

— გ. ბრეგვაძე შუამდგომლობს ნება ნება დართონ განაახლოს შეჩერებულ გაზეთ „შრომის“ გამოცემა.

— მთავრობას რეკვიზიცია მოუხდენია დაფნისა ოსმალეთის დაპყრობილ სოფლებში. ოსმალური დაფნა ფუთი თუმნად გაიყიდება და დიდათ დასცემს ჩვენებურ დაფნის ფასს, რომელიც დღეს 22 მანეთად იყიდება ფუთი.

**სამტრედია.**

დამთავრდა საზოგადო საკრებულოს შენობა. ზალა 400 კაცს იტევს. მთელი შენობა 20,000 მანეთად დაჯდა. დეკორაციები ბ ნმა ი. სტურუამ დაახატვინა. შენობა ძმათა სიხარულიძეთა მიწაზე აგებული. სიხარულიძეებმა ხუთის წლით უსასყიდლოთ დაუთმეს მიწა შენობას. ხოლო ხუთს წელს შემდეგ ძმათა სიხარულიძეებს განზრახვა აქვთ შენობა შეისყიდონ ღირებულ ფასად და შესწირონ სამტრედიის საზოგადოებას და თან დაარქვან „სახალხო სახლი ძმათა სიხარულიძეთა“.

**დ. დელიჟანი** (განჯის გუბ.)

ეს დაბა, წმინდა სომეხთა დაბაა. ვაჭრობა-მრეწველობაც სომეხთა ხელშია. აქ არსებობს კოოპერატიული სავაჭრო, რომლის საშუალებით სალსარ მოკლებულნი ყოველისავე სანოვაგეს ხელმისაწდომ ფასებში იძენდნენ. ადგილობრივი ვაჭრები ამ კოოპერატიულ სავაჭროს მუდამ ზიზღის თვალით უცქერდნენ. ამ დღეებში ხსენებული კოოპერატიული სავაჭრო ვიღაც ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს და ერთიანად გასცალეს. როგორც ამბობენ, ეს საზიზღარი საქმე ადგილობრივმა ვაჭრებმა მოაწყვესო.

— ამ მხარეში თავისუფლად თარეშობენ დეზერტირი ჯარისკაცები. დღე ისე არ გავა, რომ ვინმე არ გაძარცვონ ან კიდევ არ იმსხვერპლონ.

**ხიდისთავი** (გურია).

5 დეკემბერს ბ. ალ. გ—ძე კალანდაძემ ქ. ოზურგეთიდან ამოიყვანა ოზურგეთის ფოსტის უფროსი ბ-ნი ვოლკოვი, რომელმაც დაათვალიერა შენობა, საცა ხიდისთავის ფოსტა უნდა დარჩეს მოთავსებული. უფროსმა შენობა მოიწონა და შესაფერი ოქმი

შეადგინა. ამრიგად, სრული იმედია ფოსტა პირველ იანვრიდან დაიწყებს მოქმედებას.

საჭირო გზა თავიანთ სოფელში ბუკნარელებმა კიდეც გააკეთეს. საჭიროა ხიდისთავის მახლობელი გზის საფუძვლიანი შეკეთება.

ხიდისთავის პირვ. დაწყ. უმაღლეს სასწავლებლის უფროსად დანიშნეს ოზურგეთის ასეთივე სკოლის მასწავლებელი ბ-ნი სეფე ბურჭულაძე.

**ს. კონჭკათი** (გურია).

ამ დღეებში მოხდა მეტად თავხედური ცარცვა. ადგილობრივ ვაჭარს ნოე ტუღუშს ღამის რაინდებმა-ნაძირალებმა მთლად გაუცალიერეს საფართლო და საწვრილმანო დუქნები. ქურდობა ჩაიდინეს ღამით. ცარცვა-გლეჯა გურიაში, ეს რამოდენიმე წელიწადია, თითქმის მოისპო, და ამ მეტად თავხედურმა ქურდობამ ყველა აალელვა. მცხოვრებლებმა მაშინვე მიიღეს ზომები და გუმანიც მიიტანეს ტროფინე მოლაზონიაზე. მოლაზონია არ გამოტყდა, მაგრამ ნაქურდალი ფართლეულობის ნაწილი აღმოაჩინეს კინტრიშის საბოქაულოში, ქართველ მუსულმანთა შორის. როგორც ირკვევა, მეზობელ მაჰმადიანთათვის კარის კაცობა გაუწევია ხსენებულ მოლაზონიას.

## წერა-კითხვის გამავრც. საზ. წლიური კრება

11 ქრისტეშობისთვე

(დასასრული)

**ბ-ნ გ. ლახიშვილის** წინადადებით, თავმჯდომარემ საჭიროდ სცნა ანგარიშის განხილვას მუხლობრივ შესდგომოდა კრება და მაშინ სარევიზიო კომისიის შენიშვნებიც თანდათან განეხილა.

ანგარიშის პირველ მუხლში აღნუსხულია საზოგადოების განყოფილებანი. **ბ-ნმა შ. მიქელაძემ** ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქუთაისის განყოფილებას თავის მოქმედების ანგარიში არ გამოუგზავნია მთავარი გამგეობისათვის, სამწუხაროდ მიიჩნია განყოფილების ასეთი საქციელი და ურჩია კრებას, რომ განყოფილებები, რომელნიც ანგარიშს არ წარმოადგენენ, გაუქმებულ უნდა იქმნანო, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, ასეთი განყოფილება რასმე აკეთებს, თუ არაო.

თავმჯდომარემ **გ. ნ. ყაზბეგმა** ამის გამო განაცხადა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც განყოფილებანი დაარსდა და ჯერ თავისთავად ცხადია საქმე სასურველად ვერ მოწესრიგდებოდა. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს რევიზია გაუკეთოს განყოფილებათ, საკმაო მასალა შეაგროვოს მათის მოღვაწეობის შესახებ და რაიმე გადაჭრილი დადგენილების გამოტანა შემდეგ შეიძლება ამა თუ იმ განყოფილების შესახებო.

**თავ. მ. დ. ჭავჭავაძემ** აღნიშნა უნუგეშო მდგომარეობა ილია ჭავჭავაძის სახლ-კარისა ყვარელში: ილიას ეზო, კოშკი, რომელშიაც ის მუშაობდა და საერთოდ მთელი კარმიდამო უპატრონოდ და მოუვლელი ყოფილა. ორატორი ურჩევს გამგეობას მიაქციოს ყურადღება დიდებულ ილიას სახლ-კარს, რომელიც ეხლა საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს და სკოლა და სამკითხველო მოაწყოს იქ და ამ საშუალებით იქაურ ხალხს დაუახლოვოს და გააცნოს დიდებული მამულიშვილი. ორატორი დარწმუნებულია, რომ წერა-კითხვის საზოგადოება თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამს, ყვარლის მცხოვრებნი დიდის სიამოვნებით დაეხმარებიან საზოგადოებას და თავისი ხარჯით შეინახვენ სკოლასაც და სამკითხველოსაცო.

თავმჯდომარემ **გ. ნ. ყაზბეგმა** ამის გამო განაცხადა, რომ აღნიშნული მამულის მოვლა პატრონობა თელავის განყოფილების მოვალეობას შეადგენს და იმას ულისათვის ჭირისუფლობა ვერ გაუწევია, ჩვენ მოვაგონებთ მის მოვალეობას და საერთოდ ყოველივე ღონეს ვიხმართ, რომ ილიასეული მამული შესაფერისად იყვეს მოვლილიო.

შემდეგ კრება შეუდგა სასკოლო ანგარიშის განხილვას. 20-მდე ორატორმა ილაპარაკა. ყველანი ცდილობდნენ სწავლა-განათლების გავრცელების საუკეთესოდ მოწყობის გეგმა განემარტებინა კრებისათვის. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ორატორთა დიდი უმრავლესობა ახალს არაფერს ამბობდა, იმეორებდნენ იმას, რაიცა საზოგადოების წინა კრებებზე ბევრჯელ თქმულა და ეს ნალაპარაკევი კრების ოქმებშიაც არის შეტანილი. ერთი ჯგუფი ორატორებისა, მაგალითად **შ. ქარუმიძე, რ. გაბაშვილი და გრ. ვეშაპელი** აღნიშნავდა-რა საზოგადოების სკოლების უნუგეშო მდგომარეობას, ამტკიცებდა, რომ საზოგადოება სკოლების სიმრავლეს, როცა ამისი ძალ-ღონე არ შესწევს, იმდენ ყურადღებას როდი უნდა აქცევდეს, არამედ უნდა დაკმაყოფილდეს რამდენისამე სკოლით, თუ გინდ ერთი—ორით, მაგრამ რაც ექნება, იგი მაინც სამაგალითოდ უნდა მოაწყოს, რათა ხალხმა დააფასოს საზოგადოების სკოლები და ამათი უპირატესობა გაითვალისწინოსო მეორე ჯგუფი ორატორებისა, მაგალითად, **დ. კარიჭაშვილი და გ. ლახიშვილი** და სხ., იმ აზრს გამოსთქვამდნენ, რომ ჟამთა ვითარების გამო სამაგალითო სკოლების გამრავლების შეძლება არა აქვს საზოგადოებას, 1—2 სკოლა კი კვალს ვერ დააჩნევს ჩვენ ცხოვრებას, რაც გინდ გლახა სკოლა იყვეს, ერთი-ორი კაცი წერა-კითხვას მაინც ისწავლის და ესეც დიდი საქმე არისო. ზოგნი კიდევ, მაგალითად, **პ. საყვარელიძე**, ამტკიცებდნენ, რომ კრების დადგენილება ყოველთვის და ყველა კარგია, მაგრამ დადგენილებანი განუხორციელებელნი რჩებიან და ეს აღმასრულებელ ორგანოს სისუსტეს წარმოადგენს. ამიტომ გამგეობას უნდა გამოეყოს განსაკუთრებული ორგანო, რომელიც ცხოვრებაში განახორციელებს კრებების დადგენილებებსო.

ქ-ნი **ან. ბახუტაშვილისა** ამტკიცებდა, რომ საზოგადოებას მოუმზადებელი მასწავლებლები ჰყავს და გამგეობამ რამდენიმე კაცი უნდა გაგზავნოს პეტროგრადს და საზღვარ გარეთ პედაგოგიურ განათლების მისაღებად, რომელნიც უკან დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობას გაუწევენ საზოგადოების სკოლებს.

**ბ-ნი ირ. რამიშვილი** საზოგადოების სკოლების ნაკლულევანებას ხსნიდა მასწავლებლების სისუსტით და უენერგიობით. ორატორმა მაგალითები მოიყვანა გურიის სამინისტრო სკოლების ისტორიიდან და ამტკიცებდა, თუ რა დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლიანთ ბეჯით და ენერგიულ მასწავლებლებს.

**ბ-ნი ილ. ნაკაშიძე** სწავლა-აღზრდის უნუგეშო მდგომარეობას თითონ სწავლა-აღზრდის ცუდ სისტემაში ჰხედავს და ამიტომ სკოლის სრულ რეორგანიზაციას თხოულობს.

**ბ-ნი ქელბაქიანი** (მუშა) არ ეთანხმება ზოგიერთ ორატორის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ვითომც ხალხი საზოგადოების სკოლებს მიტომ გაურბოდეს, რომ ამ სკოლებში რუსული ენის სწავლება სუსტად იყვეს დაყენებული. ორატორი იმ აზრის არის, რომ ხალხი პრაქტიკულად უყურებს სკოლას, სახელდობრ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად დაეხმარება მას ქონებრივად ცხოვრების გაუმჯობესებაში. ამიტომ პროგრამა სკოლებისა არსებითად უნდა შეიცვალოს; სკოლა უნდა აძლევდეს ბავშვებს პრაქტიკულ ცოდნას.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სულ 32 კაცმა ილაპარაკა, ყველას ნალაპარაკევის დამახსოვრება შეუძლებელია; ამიტომ ვისაც სურს, თავისი ნალაპარაკევის შინაარსი წერილობით წარმოადგინოსო.

კრება გადაიდო სამშაბათისთვის (13 ქრისტეშობისთვე, საღამოს 7 საათი, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკი, ფრეილინის ქუჩაზე).

## ქალაქის საბჭო

21 ქრისტეშობისთვე

კრებას თავმჯდომარეობს ა. მ. არღუთინსკი.

წაკითხულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მ. ვ. როძიანკოს დეპეშა, რომლითაც მადლობას უცხადებს თბილისის ქალაქის საბჭოს თანაგრძნობის გამოცხადებისათვის მასა და მარკოვს II-ს შორის მომხდარ ინციდენტის გამო. წაკითხულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროს პოლონელთა კოლოს თავმჯდომარის ი. ს. გარუსევიჩის სამადლობელი წერილი საბჭოს მიერ ჰენრიხ სენკევიჩის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოცხადებისათვის. აგრეთვე წაკითხულ იქმნა თბილისის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარის ა. ა. ჩემიშევის სამადლობელი დეპეშა, რომელიც პასუხია ნაფიც ვექილთა საბჭოს დაარსების გამო საბჭოს მილოცვისა.

თანახმად (1912 წლის 19 მარტის) საბჭოს დადგენილებისა განსვენებულ დრამატურგის გ. ნ. სუნდუკიანცისა, გამგეობას დაუდგენია დრამატურგ სუნდუკიანცის სახელი ეწოდოს ვერის საქალაქო ოთხკლასიან სასწავლებელს.

ხმ. გ. ნ. ტერ-სტეფანოვის წინანდელ შეკითხვის გამო, თუ როგორ გადაწყდა საკითხი საშუალო სასწავლებლებში ადგილობრივ ენების საგალდებულო სწავლების შესახებ, გამგეობას უთხოვია სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის ამ საგნის შესახებ იშუამდგომლოს სახალხო განათლების მინისტრთან.

საბჭომ მოისმინა და შეიწყნარა გამგეობის საგანგებო კომისიის პროექტი ინსტრუქციისა, რომ დაარსდეს ცალკე კომისია, რომელიც გამგეობას დაეხმარება სასურსათო მუშაობაში. ამ კომისიაში 9 კაცი უნდა იქნეს; ამათი არჩევა შემდეგი კრებისათვის გადაიდვა.

უძრავ მამულების დაფასების გასაუმჯობესებლად, კრებამ დაადგინა დამფასებლებს კიდევ მიემატოს 2 კაცი და აღმასრულებელი კომისია 3 კაცისაგან შესდგებოდეს.

შეწყნარებულ იქმნა გამგეობის მოხსენება, რომ ავლაბარში დაარსდეს გრ. არწრუნის სახელობაზე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ხოლო ვერაზე აკაკი წერეთლის სახელობაზე სამკითხველო. ამასთანავე გამგეობას დაევალა მოკლე ხანში წარმოადგინოს მოხსენება, რათა ქალაქის დანარჩენ უბნებშიაც დაარსდეს სამკითხველო-ბიბლიოთეკები.

საქმეების განხილვის დროს, როცა წინანდელ კრების ჟურნალს ხელს აწერდნენ ხმოსნები, ხმ. ა. ი. მიტკევიჩი შეეკითხა თავმჯდომარეს: ჟურნალში ჩაწერილია სიტყვა შ. მესხიშვილისა, რომელსაც განუცხადებია შემდეგი: „ახალი ქუჩები ყველა ქალაქის განაპირას იმყოფება,—ქალაქს მომეტებული ეროვნული ელფერი უნდა მიეცეს. ამიტომ ნაძალადევში ნუ გაგვზავნით და ბარათაშვილის სახელი ეწოდოს ერთ-ერთ ქუჩას ქალაქის შუა ადგილას, ხოლო ნაძალადევში ლერმონტოვი და ჟუკოვსკი გაგზავნეთო“. შემდეგ მიტკევიჩმა განაგრძო ჟურნალის კითხვა და ხმ. ვახ. მესხიშვილის ნალაპარაკევი ამოიკითხა. „რატომ ჰქვიან აქ ერთ ქუჩას ოლგას სახელი და მეორეს გოლოვინისა, როცა ოლგებისა და გოლოვინებისათვის დიდი ქალაქებია რუსეთში, ხოლო ჩვენთვის, როგორც პატარა ერისათვის, სასურველია, რომ ჩვენს ქუჩებს ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების სახელი ერქვასო“ და სხ. ასეთ სიტყვების გამო ხმ. მიტკევიჩი, როგორც რუსის ხალხის წარმომადგენელი ქალაქის საბჭოში. პროტესტს აცხადებს და თხოულობს, რომ მისი სიტყვები შეტანილ იქმნას ოქმში.

თავმჯდომარე **ა. არღუთინსკი** აცხადებს, რომ ამ ფორმითა და ამ აზრით ხმ. მესხიშვილს არ ულაპარაკნია, ალბათ, რაღაც გაუგებრობა მოხდა და მისი სიტყვები სისწორით არ არის შეტანილი ოქმშიო.

**ხმ. ა. ლომთათიძე** ამტკიცებს, რომ მესხიშვილმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ჩვენს მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნათაც ადგილი ჰქონდეს ქალაქშიო და სრულებითაც ცუდათ არ მოუხსენებია და არც რაიმე შეურაცხყოფა მიუყენებია ვისთვისმეო. ამასთანავე, ბ-ნ ლომთათიძეს აკვირვებს მიტკევიჩის საქციელი, რომ თავისი შეკითხვისათვის ისეთი დრო აირჩია, როცა მესხიშვილი აქ არ არის და შესაფერს პასუხს ვერ მიიღებს მისგანო.

**ხმ. რამიშვილი** წინააღმდეგი არ არის, რომ მიტკევიჩის პროტესტი ოქმში იქმნას შეტანილი, მაგრამ, მისის საქციელის გამო, პროტესტს აცხადებს, ვინაიდან ბ-ნი მიტკევიჩი ცენზორის როლს კისრულობს, მაშინ როდესაც ასეთი უფლება მხოლოდ თავმჯდომარეს ეკუთვნისო.

**ხმ. გოთუა** აგრეთვე პროტესტს აცხადებს მიტკევიჩის საქციელის გამო და ამტკიცებს, რომ ეხლანდელ კრებაზე ის არ უნდა შეეხებოდა მესხიშვილს, რადგან უკანასკნელი დღეს აქ არ იმყოფებაო.

ინციდენტი ამით დასრულდა.

## საქართველოს სამღვდელოება უწინ და ახლა

დღეს ქართველი ერი საზოგადოთ და მასთან სამღვდელოება დიდს საგონებელშია ჩავარდნილი, დიდის გაჭირვებისა გამო ფრთხილათ მოქმედობენ, რათა ძველებური რამ შეცთომა არა ჩაიდინონრა და სამოთხის მონატრეებმა თავი უაღრეს ჯოჯოხეთში არ ამოჰყონ. ამ გაჭირვებულ დროში ზოგიერთმა ჩვენის წარსულის უმეცარმა მწერალმა თავის ხელობათ გაიხადა სამღვდელოების აბუჩათ აგდება და უსამართლოთ ცილის დაწამება და სხ. ჩვენ ამაზედ ხმას არ ამოვიღებდით, მაგრამ, რაკი დაიჟინეს და თავის ქადაგებას ქართველს ერს თავზედ ახვევენ და აჯერებენ, ჩვენ მოვალენი ვართ სიმართლის თქმად.

ამ სამწუხარო დროში მყოფი სამღვდელოება ნუგეშობს კიდევ, რომ დღეს ქართველ ერს თვალი და ყური სამღვდელოებისაკენ უჭირავს და სულგანაბული ელის მისს ძველებურსა აღმაფრთოვანებელ მეთაურობასა. ყველას კარგათ მოეხსენება, რომ უკულმართომა ჟამთაბრუნვამ ქართველ ერს ეროვნული საარსებო გზა-კვალი დაუბნია; წარსულ საუკუნის დამდეგს აქეთ ქართველი ერი დღემდე, არ იქნა, ვერ შეესისხლხორცა უცხოურათ ცხოვრების კანონებსა: წარსულმა საუკუნემ, რომ ჩვენის ერის ცხოვრებაზედ ზედგამოჭრილი გამგეობა, სამართალი და წესწყობილება მოგვისპო და დაგვანგრია, მათი სამაგიერო რამ ხელსაყრელი და გამოსადეგი არა შეგვძინარა. მაგ. ყრმათა აღზრდის საქმე, სამართალი, სამამულ-დედულო და სხ. საქმეები ერთიანათ აგვეწეწა და აგვირივ-დაგვირივა, დღემდე ორ ცეცხლშუა ვიტანჯებით. ჩვენი ძველი ყოფა-ცხოვრების წესწყობილება დღემდე ვერ დაგვივიწყნია და ძალათ თავზედ მოხვეული უცხო წესები ვერ შეგვისისხლხორცნია. ჩვენის დიდებულის ეკლესიის ბედი ხომ მოთქმით სატირელია. უწინ ჩვენი ეკლესია მთელს აღმოსავლეთის მართლმადიდებლობას მეთაურობდა, ოცდა ათამდე ბერმონაზონებით სავსე მონასტერს ინახავდა და არჩენდა.

დღეს კი დიდმშვენიერ ტაძრების განახლება და დაცვაც კი აღარ შეგვიძლიან და ცისანაბარა დავრჩით. რათა? მათა, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე „ხელში ნაჭერი სიკეთე გაგვიხდა საძებნელია“. აი ამისთანა გასაჭირში ქართველი ერი ელოდება ისევ სამღვდელოების რიხიანს ხმასა, სიმართლისათვის ხმისამაღლებასა, ვინაითგან უწინაც მხოლოთ სამღვდელოება გამოიდებდა ხოლმე თავსა საერთო გასაჭირში და დაუძლურებულს სასიცო-

## რა არის ფუტურიზმი?

(დასასრული)

მაგრამ მარინეტი და მისი მოწაფენი პარიზს გაურბიან არა მარტო ამ ჟურლმულებისა გამო, არამედ იმიტომაც, რომ აქ აკვანი ჰპოვა უფრო წარმავალ და ზერელე სიკეკლუცის დევნამ. თუ თავის თანამემამულე დ'ანუნციო არ დაინდო და კატეგორიულად გამოაცხადა, სამაგიეროდ სიმბოლისტებს, როგორც სიჩუმისა და საზოგადოდ იდუმალების მოტრფიალეთ სასტიკს ომს უცხადებს იგი. და განა რას ამბობდენ სიმბოლისტები, რომ ასე ებრძვის მარინეტი? თეორიათა ბურუსში რომ არ გავეხვეთ, გავიხსენოთ თვით სიმბოლიზმის მთავარის, სტეფანე მალარმეს, სიტყვები: „ქვეყნიერება იმადაა გაჩენილი, რომ საბოლოოდ წიგნთსაცავად გარდიქმნეს იგი! განკვაშორეთ მთავრობის მექანიზმს, სახელმწიფოებრივ მანქანის ჭახრაკთა ტრიალს, შორს ჩვენგან სამინისტროს კრიზისები და მათს გარშემო ატეხილი ჟრიამული, დავიდარაბა! ვაჭრობის მღელვარე და მშფოთარ დღესასწაულებმა უმრავლესობის თავში ჩაახშეს მშვენიერების შემეცნება, ხოლო მრეწველობამ ჩანთქა ის უკანასკნელი თავისუფალი დრო, რაც პოლიტიკას გადარჩა და ადამიანს ეძლეოდა. ერთი სიტყვით, სტეფანე მალარმე მარინეტის მოძღვრების სრულიად წინააღმდეგს ჰქადაგობს. სრული დუმილი, ჩამოშორება პოლიტიკისა,—აი რა სურს მას! მისთვის ერთი ლექსის ნაწყვეტი, ანუ ქანდაკის ნატეხი ყოველისფერია. მთვარის ნაზი სხივების თვით განსპეტაკებული პანთეონის ხილვა და მის გარშემო ღვთაებრივი დუმილის მეფობა მალარმეს ცათა ცაში აფრენს და განსასვენებელს აპოვებს, მაშინ როდესაც ყველა ეს მარინეტისთვის საშუალება რამ არის, როგორც კაცობრიობის დამძაბუნებელი საწამლავი. „ერთს დროს ჩვენც პატივითა და სიყვარულით ვეკიდებოდით ისეთს დიდს სიმბოლისტებს, — ამბობს მარინეტი,— როგორიც გახლდნენ ედგარპო, ბოდლერი, მალარმე და ვერლენი. დღეს ყველა ესენი მხოლოდ ზიზღს იწვევენ ჩვენში, იმიტომ რომ მათ პირი წარსულისაკენ ჰქონდათ მიქცეული. მათთვის პოეზია დაუკვნესებლივ არ არსებობს. ბუნდოვანობა და ბურუსი, რაიც მანქანის დღესასწაულს გადააფარეს, ჩვენში სიცილის მეტს არას იწვევს. ცრემლების მშვენიერებას, საფლავების წინ ნაზად ქვითინს, ჩვენ წარმოვაყენეთ ენერგიით სავსე შოფერის სახე, ავიატორის მამაცი მეტყველება, სიცოცხლის ცეკვა!“ ერთი სიტყვით, ყოველგან სიცოცხლე, ყოველგან აღტაცება, ბრძოლა, ყიჟინა, ფიზიკურ ძალის გამოფენა,—აი რა იდეა გადაშალეს ფუტურისტებმა, რისკენ მოუწოდეს კაცობრიობას!

იტალიის განდიდებისა და კაპიტალიზმის აპოლეგეტად მარინეტს ახარში ამოუდგა პოეტი პაოლო ბუცი. არსებითად მას არა უთქვია რა ახალი. იგი უმთავრესად მარინეტის იდეებს მხატვრულ ნაწარმოებში ავითარებს. მარინეტის თეორიათა პრაქტიკულ ნიადაგზე დასაყენებლად მან საგანგებოდ მოიარა გერმანეთი, სადაც ელტაცებაში მოდიოდა უმწვერვალესად განვითარებულ ამ ქვეყნის ინდუსტრიით, მრეწველობითა თუ ტეხნიკით. ჰამბურგი, მანჰაიმი,—აი ის ქალაქები, რომელნიც მოძრავი სიცოცხლის ხმაურობით აბრუვებენ მას. ელექტრონით გაჟღენთილი ჰაერი, მანქანათა ხმაურობა და თავდავიწყებული მუშაობა სიხარულით უთრთოლებს ძარღვებს იგი ამ ფოლადისა და ძალის ატმოსფერაში თავს ისე ჰგრძნობს, თითქოს ახლად დაბადებულიყოს, ეხილნოს რაღაც უცნაური, ზღაპრული ქვეყანა, სადაც ადამიანების სისხლისა და ხორცის ნაცვლად ჯავშანში ჩამსხდარან, ელექტრონით ათასს სასწაულებს ახდენენ, ცხოვრებას. სამითო მეტყველების იერს აძლევენ. „სიცოცხლე, სიცოცხლე და ძალის მეუფება!“ შესძახა მან. ბუცსაც, როგორც მარინეტის, ზიზღი ებადება მთვარის სონეტებით მოჯადოებულ მგოსანთადმი, გაბრიელ დ'ანუნციო იმისთვისაც ისეთივე დაუდგრომელი მგოსანია, როგორც ფრანგი სიმბოლისტები, რომელთაც დუმილი დაუპირდაპირეს სიცოცხლის ძალხილს, სიცოცხლის აღტაცებულ ხმაურობას. ასეთი ხალხი ვერ შეჰქმნიან „დიდს იტალიას“. ჯუზეპე მაძინი, ანუ გარიბალდი თუ გნებავთ, ძველი რომის სახელოვანი-სარდალნი განახლებულის სულით, განახლებულის მსოფლ მხედველობის თვალით შეჰქმნიან მომავალ იტალიის საზამნბო სახეს. ბუცის წინ უკვე ამ დიდებულ სანახაობის ლანდმა ზმანების ქსელი მოიხვია და ნარნარით დაიწყო ცეკვა. ახალი თაობა ძველთან სწყვეტს კავშირს, ესენი ჰქმნიან ზღაპრულ ტეხნიკას, იხილავს მებრძოლთ ფოლადის კუნთებით და ცეცხლის სულით. განსაკუთრებით ბუცი თითქმის მთლად შეიშალა, როდესაც მან პირველად ინახულა კილის არხი, ეს კუპრითა და ენერგია - ელექტრონით ნაჟღენთი ადამიანის ტვინი. ბუცს ამ ნავთსადგურმა გადაუშალა საოცნებო პანორამა. აგერ, მიმოჭქროლავენ მშვენავენი ჯავშნოსნები, დრედნოუტები, ეს ნგრევისა და განადგურების მცურავი ქალაქები! მათ მოჰყვებიან კრეისერები, ნაღმოსნები, ეს „სიკვდილის ლითონის შვილები“, მათს იქით კი ტალღები ჰქუხან, როგორც სამარადისო ბრძოლით მხედართა მბორგავი გულ-მკერდი, ნგრევა-დაპყრობის და ოცნების დაუღალავი შიკრიკები. ექსტაზით შეპყრობილი მგოსანი ერთი წუთით წარმოიდგენს, რომ მისი სამშობლო ქვეყანაც ერთ დროს ასეთი სანუკვარი გახდება, იტალელთა დრედნოუტებზე აფრიალდება წმინდა მარკოსის დროშა და უშიშრად შეებრძოლებიან გერმანელთა ესკადრას. მაგრამ... როდის იქნება ეს დრო? მგოსანი ჰგრძნობს, რომ ამ სანატრელ დროს ვერ მოესწრობა სიცოცხლითვე. მის მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც წარმოიდგენს, რომ იგი ქვეშაგებში უფრო დაჰლევს სულს, ვიდრე სახელოვან ბრძოლის ველზე. სწუხს, რომ სიკვდილის შემდგომად იგი სტოვებს ისევ პატარა იტალიას, მდაბალ სულისა და კაცუნა თაობის ანაბარად, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი მისია.

„ოჰ, აღვესრულდები და ვერ ვიხილავ ახალს სამშობლოს გმირებისასა“-ო, ჩვეუნება დამწუხრებული მგოსანი. და თუ ეს ასე მოხდება, როდისმე მაინც, საფლავში მაინც გავიგონო შორეული საარტილერიო ღრიანცელი, დაე, იმ ქვეყნად მაინც აღსდგეს მისი სული ტრიბუნად, ფარხმალ აღჭურვილ რაინდათა. ყური დაუგდეთ, რა მშვენიერ ჰანგით მოიმღერს:

„და თუ შენ, ბრძოლავ, სიცოცხლეშივე
აღარ მაჩვენე საგმირო ველი,
იქ, საიქიოს, მაინც მაღირსე
მხედრად გარდვიქმნე სული ცხოველი,
რომ ჩემ სიმღერამ თვით საფლავიდან
კეისრის სულად წარმომავლინოს
და შმაგ მყობადის მერნის ფრთებ-თა
გმირთა წინაშე გამომაქროლოს!“

მისთვისაც, როგორც მარინეტისთვის, ბრძოლა—ომი ქვეყნის განმწმენდელი ჰიგიენაა. ამავე აზრებით გაჟღენთილია არა ნაკლებ სახელოვანი მგოსანი ფუტურისტი ლუჩიანო ფოლგორე. ფოლგორემ საოცარის წინაგრძნობით იწინასწარმეტყველა ევროპის ომის აუცილებლობა და ამიტომაც იტალელთ ჯერ ომის დაწყებამდე მიჰმართავდა მხედრულის მოწოდებით:

„გაშალეთ დროშა ფრთოსანი,
ნუ მივცემივართ წუხილსა,
ერთხმად სალამი მივუძღვნათ
ზარბაზანთ გრგვინვა-ქუხილსა“.

„ყოველისფერი დიდი და გარდაქმნილი იტალიისთვის!“ აი რას ოცნებობდნენ, რა დევიზი წამოაყენეს პირველმა ფუტურისტებმა, აი რის გარშემო მოუწოდებდნენ იგინი თავიანთ გმირ მამულიშვილებს.

არ იფიქროთ, ფუტურიზმის მოძღვარნი მარინეტი, პაოლო ბუცი თუ სხვები მარტო ერთს იტალიას აძლევდნენ ასეთს დევიზს. არა, ამავე სიტყვებით მიჰმართავდნენ ესპანეთს, ინგლისს და სხვებს. მთავარი პრინციპი, რითაც უნდა იხელმძღვანელოს თვითეულმა ერმა, ნაციამ, გახლავთ უკიდურესი ეგოიზმი. აი, ამის გარშემო უნდა იბრძოლოს თვითეულმა ერმა. პრინციპი არსებობისთვის ბრძოლისა უმწვერვალესამდე უნდა განავითაროს თვითეულმა ერმა. დაე, მოისპონ ვისაც ბრძოლა არ შეუძლიან, სამაგიეროდ მომავალ გარდაქმნილ ქვეყნიერებას შერჩებიან საღნი, ძალოვანნი. იბრძოლეთ, ვიდრე ეს შესაძლებელია, ფოლადის კუნთებით აღჭურვეთ ყველამ თქვენ-თქვენი სამშობლო, ჯავშანი შემოარტყით თქვენს ინდივიდუალურ არსებობას და მაშინ ნახავთ, რომ ამ სანუკვარს ბრძოლის ველზე, ბოლისა და სისხლის ატმოსფერაში, ზარბაზანთა ქუხილსა და კვნესა ღრიანცელში როგორ გამოფოლადდებით, როგორ სხვა სახედ გარდაიქმნებით. ეს ბრძოლა შეჰქმნის თვითეულს თქვენგანისთვის ახალს სამშობლოს, ახალს ქვეყანას, ქვეყანას ქარხნებისას, ელექტრონისას, ქვეყანას ვაჭრობისას და აღყვავებულ მრეწველობისას. ყოველგან გამეფდება ბატონი ელექტრონი, ბატონი ენერგია, რაიც ათას სასწაულებს მოევლინება, რომელთა შესახებ ძველსა თუ ახალ ხანის მომაკვდავ მგოსანთა ავადმყოფს ფანტაზიას წარმოდგენა არც კი შეეძლო. მსოფლიო ახალის ნაკადულით დაიწყებს ჩქეფას, ფოლადის შადრევნები შეანგრევენ ცის მინაზებულ ლაჟვარდ იერს, ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, თვით ისეთი კუთხენიც კი, სადაც ძველს თაობის წარმომადგენელთ ოცნების სანთლითაც არ შეეძლოთ შეეშუქებინათ, ეხლა დაზგად გარდაიშლება ჰაეროპლანთა ნავარდობით. სუსტი ადამიანი შეიქმნება ღმერთი-კაცი, რათა ჯადოსნურ კვერთხის დარტყმით ყოველ წუთს გვაჩვენონ ახალი ცხოვრება, ახალი გენიოსობა! ასე ჰფიქრობენ წმინდა ფუტურიზმის წარმომადგენელნი მარინეტია ეს, პაოლო ბუცი, ფოლგორე თუ კავაკიოლი, კორარდო გოვონი, უფრო დ'ალბა. ყოველისფერი ერის კეთილდღეობისათვის, აი მათი დევიზი! თუ არ შევეწირებით ერის საკურთხეველს, თუ არ იქნება მისდამი ენტუზიაზმი, ერი არ ერობს, იყინება, ზღაპრული ძილით ითენთებაო.

რამდენად მართალია ფუტურისტთა ასეთი მოძღვრება, დღეს ამ საკითხს არ ვარკვევთ. ვეცადეთ მხოლოდ მიუდგომლად გადმოგვეცა მათი მოძღვრება. შესაძლებელია, უტოპიური ბევრი რამ იყოს აქ, მაგრამ რომელი მოძღვრება არ იყო უტოპიური თავის შთასახვის დროს? თვით ღვთაებრივი ქრისტიანიზმი და სოციალიზმიც დღესაც ამ მანტიით იმშვენებენ მხარს, საქმე უტოპია კი არ არის, არამედ სარჩული მისი რაოდენად კეთილშობილურია? რა მიზანს ისახავს? ვის ემსახურება? რას?

სამწუხაროდ, არცერთი მოძღვრება არ რჩება ნათელი და შეურყვნელი ყოველისფერი „იზმით“ დაწყებული თავდება ვაკხანალიით. ასე დაემართა ფუტურიზმსაც. ფუტურიზმი საფრანგეთში და განსაკუთრებით ფუტურიზმი რუსეთში სულ სხვა რამედ გარდაიქცა. იდეათა აკრობატობა, კლოუნადა,—აი რა ელფერი მიიღო მან დღეს, რამაც თვით მოძღვარ მარინეტსაც ერთგვარი გამანადგურებელი საწამლავსავით იმოქმედა იმ განსხვავებით, რომ ბოლოს, მარინეტმაც და მისმა თანაზიარებმა საომარ დაფდაფების დაკვრის თანვე ცირკულს მალაყებს ანებეს თავი და ისევ ძველის გატაცებით მახვილით ხელში გაიჭრნენ ველად, მაშინ როდესაც რუსეთის კლოუნები ქალაქიდან ქალაქს დაწანწალებენ და თავიანთ მალაყებით გულიანად ახარხარებენ ყველა მნახველსა...

**დ. კახრაძე.**

ცხლო მაჯისცემასა ხელახლა აამოძრავებდა სამოქმედოთ.

უკეთუ საქართველოს სამღვდელოებამ წარსულ საუკუნეში თავისი უნარი ვეღარ გამოიჩინა, ეგ მისი ბრალი არ არის. ადრევ ერთს რუსულ გაზეთში ვიღაც მადლიანი ადამიანი სწერდა— „თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში სპარსების, არაბების, მონღოლების, თურქების მტარვალობამ იმთენი არ ავნო საქართველოს ეკკლესიასა, როგორც 1811 წ. შემდეგ მეცხრამეტე საუკუნემაო".

ოღონდაც! 1811 წლამდე საქართველოს სამღვდელოებასა თავი ხელთა ჰქონდა: საკუთარი კათალიკოზ-პატრიარქი და ორმოცამდე მღვდელმთავარნი განაგებდნენ. თვით სამღვდელოება, იმ დროს კვალობაზედ, ფრიად განათლებული იყო. ქრისტიანობის პირველ დროითგანვე შეუდგა სალმრთო წერილის და სხ. უცხო ენათაგან გადმოქართულებასა, წმიდათა ცხოვრების და საერო მატიანეთა აღწერასა; შექმნა უმდიდრესი სასულიერო მწერალ-მწიგნობრობა, ხუროთ-მოძღვრება, სამღვდელთმთავრო ტაძარ-მონასტერნი ყრმათა სასწავლო ბინადრობათ გარდააქცია; შექმნა საკუთარი სამართალი, სამხატვრო ხელოვნება, შეამუშავა შესანიშნავი სამწერალ-მწიგნობრო ენა და სხ.

ესრეთი უნარი და მხნეობა ქართველმა სამღვდელოებამ მარტო შინ არ გამოიჩინა: მეოთხე საუკუნითგანვე გაიჩინა სამოღვაწეო ბინა-მონასტრები: იერუსალიმსა, ანტიოქიაში, სინას მთაზე, ათონის მთაზე, კონსტანტინეპოლსა, ბურღალეთსა, თესალიაში და სხ. ქართველ სამღვდელოების მიერ აღშენებულს და აყვავებულს მონასტრებს—საბას ლავრას, ჯვარისას, ივერიისას, რომანას, შავიმთისას უცხო სამღვდელოებანი შურის თვალით შეჰყურებდნენ, და დღეს ბერძნებსა და სომხებსა აქვთ მიტაცებულ-დაჩემებული და არხეინათ შეექცევიან. იმ მონასტრებში ისხდნენ ჩვენნი სასიქადულო მღვდელ-მონაზონნი, სთხზავდნენ, სწერდნენ, სთარგმნიდნენ სასულიერო წიგნებსა, საგალობლებსა და ჰმართავდნენ მშობლიურ კილოზედ; ზრდიდნენ და სწვრთნიდნენ ყრმათა, განასწავლიდნენ სალმრთოსაერო აზნაურებითითა მეცნიერებითა. ესრეთი დიადი ამაგი სამღვდელოებამ მაშინ დასდო მშობელ ერს, როცა სპარსნი, არაბნი, თურქნი და მონღოლნი რიგ-რიგით ბატონობდნენ საქართველოში, როცა ჩვენნი მეფენი მთიანს მიუვალ ადგილებში იყვნენ ხოლმე გამაგრებულნი და იქითგან ჰპატრონობდნენ დაწიოკებულ ქართველს ერსა. აი, ამისთანა დროში სამღვდელოება კარი-კარს დაიარებოდა, მტერზედ გამამხნევებელის სიტყვითა და ჯვარითა და იარაღითა წინ უძღვებოდა ქართველ ერსა და უკეთესის მერმისის სასოებას უღვივებდა გულში. მაშინ მონასტერ-ტაძარნი თავის გოდოლ-ზღუდეებითა და გალავნებით საიმედო საფარს წარმოადგენდნენ. სამღვდელოების მეოხებით გაერთიანდა პატარ-პატარა სამთავროებ დაქუცმაცებული საქართველო. იგი იყო აღმზრდელი სამეფო ოჯახიშვილთა, დარბაზისერთა, თავად-აზნაურთა და გლეხთა. ამიტომ მეფენი და დიდებულნი ყოველთვის უსმენდნენ სამღვდელოების რჩევა-დარიგებასა და ღრმათ მორწმუნე ერი მარად თავდადებული იყო ქრისტიანობისათვის და ასობით ეწირებოდა სამშობლო ქვეყანასა. სამღვდელოება მარად ეროვნულ პრინციპის თავგამოდებით მქადაგებელი და მცველ-მფარველი იყო: მან შეანარჩუნა ქართველ ერსა მდიდარი სამშობლო ენა, მიწა-წყალი, საკუთარი ვინაობა და საერო ელფერი. ვვლა ამა ღვაწლსა და ჰირნახულობასა ქართველი ერი კარგათა ჰხედავდა და სამაგიეროს მადლიანად უხდიდა: თავის სალოცავ ტაძარ-მონასტრებსა უხვებით სწირავდა—მთა-ბარსა, სახნავ სათესსა, აგარაკებსა, მთელ სოფლებსა. ამა შეწირულ მამულდედულის შემოსავლით საზრდოობდა სამღვდელოება და მონასტერ-ტაძრებსაც თვით უვლიდა და დანგრევისაგან იცავდა. თვით სამღვდელო პირნი იყვნენ საუკეთესო ხუროთ-მოძღვარნი, მხატვარნი, მწერალ-მწიგნობარნი, მგალობელნი, სიმღერით მომთქმელნი სამშობლოს „ჭირმრავლობათა" ხელოსანნი-ოსტატნი*), მუშაკნი და მომქმედნი მიწისა — გუთნისა დედა, ვენახებისა და საუკეთესო ხეხილის გამშენებელნი და თავის ხელობას, ვინც რა იცოდა, ყველას ასწავლიდნენ, და ისე ვრცელდებოდა—(ცოდნა-განათლება სამშობლოში*). ამიტომ უწინ სამღვდელოების რჩენა-შენახვა მძიმე ტვირთათ არ ედვა კისერზედ ქართველ ერსა დღევანდელივით. მოჭარბებულ შემოსავალსა სამღვდელოება ახმარებდა უმწეო ობოლქვრივთა გამოზრდასა და ნუგეშისცემასა. აარსებდა „სნეულთა სადგურებსა", „ყოველთა სადგურებსა", ეხმარებოდა ქვეყანას გაჭირვებაში.

სამღვდელოება მოწიწებით და სათუთათ ასრულებდა თავის მოვალეობასა: საუკეთესო მწირველ-მლოცველი, მკითხველი, მგალობელ-მომღერალი, მწერალი, სამღვდელო კაცნი დიდს პატივში იყვნენ და მეჯლისში დაუკლებელნი: ხშირათ სამეფო ოჯახის შვილნი და შეძლებულნი თავად-აზნაურნი ერთმანეთს ეცილებოდნენ კარგათ განსწავლულ სამღვდელო კაცებსა, ყველა საგვარეულო ერთმანეთს ეჯიბრებოდა—სხვაზედ უკეთესი დიაკვანი და მღვდელი მყავდესო, ყველა ცდაში იყო, თავისი სახლის ერთ-ერთი შვილი კარგ ოსტატთან აღეზარდნა და საკუთარი მლოცველ-მავედრებელი ჰყოლოდა ეკკლესიაში. ყველა ახალგაზრდა თავდაუზოგავად შრომობდა სწავლასა და მეცნიერებასა, რომ, რაც შეიძლებოდა, უფრო დიდი ხარისხი მიეღო კათალიკოზისა, მღვდელთმთავრისა, წინამძღვრისა, ჯვარ-მტვირთველისა, დეკანოზისა, ქადაგისა და სხ.

სამღვდელოებამ შექმნა განსაკუთრებული კილოები—საგალობელთა, სახარებისა, სამოციქულოსი, საწინასწარმეტყველოსი, სტოდიერისა, დასდებლისა, წარდგომებისა და სხ. ამ ოცდა თვრამეტის წლის წინათ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ერთხელ აღდგომის დღეს ყველა ევროპულ და აზიურ ენებზედ წაიკითხეს სახარება. იმდროს იქ სწავლობდნენ ჩვენნი საყვარელნი და აწ განსვენებულნი თედო ჟორდანია და მღ. დიმიტრი ჯანაშვილი. ქართული სახარება ამა დიმიტრის წააკითხეს. როცა დიდ დარბაზში პროფესორებმა და სტუდენტობამ პირი გაიხსნილეს, ჩამოაგდეს ლაპარი, თუ რომელ ენაზედ უფრო სასიამოვნო მოსასმენი იყო სახარების კითხვაო. ყველამ ერთხმათ ქართული კილო მოიწონეს, თუმცა განსვენებული დიმიტრი საუკეთესო მკითხველი ვერ იყო.

ყველა ამის შემდეგ, რაღათ უნდა გვიკვირდეს, რომ ქართულის დიადი კულტურის შემქმნელი უმთავრესათ სამღვდელოება დიდათ საყვარელი და პატივცემული იყო ყველგან საქართველოში? ვის რაღათ უნდა უკვირდეს, თუ ესრეთ სახელოვანმა სამღვდელოებამ საქართველოში უკიდურესობამდე აღაფრთოვანა სარწმუნოებრივი გრძნობა, აღზარდა დიდებულნი მეფენი, მწერალ-მწიგნობარნი, თავადაზნაურნი და გლეხნი, და შთაჰბერა უზენაესი სიყვარული თვისი მამულისა და მშობელ ერისა? ათი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი ერთადერთი თავდადებული მფარველი იყო მცირე აზიაში ქრისტიანობისა და ერთად-ერთი შეუპოვარი მოპირდაპირე სპარსელებისა, თურქებისა და დაღისტნისა.

ასე სასიქადულოთ სამღვდელოებას ამოქმედებდა და მისი სულის ჩამდგმელი იყო თავისუფლება ეკკლესიისა, საკუთარი კათალიკოზი.

(დასასრული იქნება)

მღ. პ. კარბელაშვილი.

*) ყოველ მონასტერში გამართული იყო: მდივანხანა, სახარატო სადურგლო, სამხატვრო, საოქრომჭედლო, სამჭედლო, სამკერვალო და სხ.

*) სირიითგან მოიტანეს ბერებმა და გააშენეს საუკეთესო ქლიავი „დამასხი" (=დამასკი), გადმონერგეს და გააშენეს ზეთის ხილის ჭალები. უცხო ქვეყნებში მოგზაურობდნენ და რასაც კარგ რასმეს ნახავდნენ, მოჰქონდათ სამშობლოში და ავრცელებდნენ. ამიტომ, საეკლესიო ზვრები ყოველთვის ნაქებნი იყვნენ საუკეთესო სხვა და სხვა ვაზებითა და ხეხილითა—ძეგვისა, თეზისა, კასპისა, ატენისა, ხოდაშნისა, შილდისა, მუკუზნისა, კარდანახისა, ხირსისა და სხ.

## ავტოკეფალიის გარშემო

ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, ბ.ბ. პეტრე მირიანაშვილსა და ძველი ავტოკეფალისტს შორის ატეხილ კამათს უთუოდ თვალყურს ადევნებდა მკითხველი საზოგადოება. ბატ. პეტრე მირიანაშვილი ეპისკოპოსს ლეონიდეს საპასუხო წერილში, სხვათა შორის, ეხება სომხის ხალხისა და მის სამღვდელოების მოქმედებას, რაიცა მათ გამოიჩინეს თავისი საეკლესიო მამულების და ქონების შენარჩუნებით, როდესაც მათი საეკლესიო ქონება უმაღლესს ბიუროკრატიას ისევე უნდა ჩაენთქა, როგორც ეს დაემართა ქართულ საეკლესიო ქონებას.

როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ კრებაზედ ორჯელ იყვნენ მიწვეულნი ყოვლად სამღვდელონი ლეონიდე და კირიონი: ერთხელ 1906 წლის პირველ თვეებში და მეორეთ კი ამავე წლის ბოლო თვეებში. თუ როგორ იღწოდნენ სამშობლო ეკლესიის სიყვარულით აღგზნებულნი მღვდელთმთავარნი და მათთან ერთათ ჩვენი დამსახურებული სასიქადულო პროფესორები ბ.ბ. ცაგარელი და ნ. მარრი, ეს ყველას წაკითხული გექნებათ იმ დროინდელ საეკლესიო, თუ საერო გამოცემებში. ყოვლად სამღვდელო ლეონიდე პირველ კრებაზე დასასწრებლათ ისე წაბრძანებულიყო, რომ ვერც კი მოესწრო, ადგილობრივ წინასწარ გაეცნო საზოგადო მოღვაწეთა და უმაღლეს სამღვდელოების აზრი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელნა კრებაზე გამართულ კამათის დროს, პეტროგრადში. მეორეთ წაბრძანების წინ კი, მათმა მეუფებამ შეკრიბა ქუთაისის ქალაქის სამღვდელოება და მიმართა: ყველამ თქვენი აზრი გამოსთქვით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესახებ,—რათა მეც შემეძლოს თქვენის აზრით ვიხელმძღვანელო და თუ ეს დიადი საქმე ჩვენდა სასარგებლოდ არ დაბოლავდა, მარტო მე არ დამბრალდესო.

დაიწყო კამათი. კრებაზედ სამღვდელოების გარეშე რამოდენიმე საერო პირიც დაესწრო. როგორც მახსოვს, დამსწრენი ყველანი იმას ავალებდენ მღვდელმთავარს, რომ მედგრათ დაეცვა საქართველოს საეკლესიო უფლებანი და ხელი მოეწერა მხოლოდ იმისთანა განაჩენზე, რომელსაც ორივე მღვდელმთავარი და ქართველი პროფესორებიც სასურველად დაინახავდენ, და არამც და არამც ხელი არ მოეწერათ ჩვენი ეკლესიის საწინააღმდეგო განაჩენზე. ამ დროს ქუთაისში გახლდით და შემთხვევა მომეცა დავსწრებოდი კრებას.

მათმა მეუფებამ ლეონიდემ მეც მიბოძა ნება გამომეთქვა ჩემი აზრი ამ საკითხის შესახებ. აი, რა სიტყვებით მივმართე მათს მეუფებას: „თქვენო მეუფებავ! დიდათ გმადლობთ, რომ მეც ნებას მაძლევთ ჩემი სამშობლოს საეკლესიო საკითხის შესახებ მოგახსენოთ ჩემი აზრიც. ამ ორი წლის განმავლობაში ქართველმა ერმა სამღვდელოებასთან ერთათ მშობელ საეკლესიო საქმეებში ორი დიდი ისტორიული შეცდომა ჩაიდინა. ეს შეცდომები გახლავან: ერთი ის, რომ 1811 წელში, ვიღაც საერო პირმა, ღენერალმა ტორმასოვმა ერთი კალმის მოსმით გააუქმა საქართველოს ეკლესიის მრავალ საუკუნოებით მინიჭებული დამოუკიდებლობა და იმ დროის როგორც სასულიერო, ისე საერო ქართველთა წოდება წინ არ აღუდგა ამისთანა აშკარა უსამართლობას და მთელი ქვეყანა არ შესძრა (მაგ. ოთხთა მსოფლიო პატრიარხთათვის უნდა ეცნობებინათ ეს ამბავი). მეორეც ის რომ, როდესაც საქართველოს მილიონებად საღირალ საეკლესიო ქონებას არომევდენ, დროის შესაფერისათ არც მაშინ მოვქცეულვართ. სწორეთ შურის თვალით ვუყურებ სომხის ხალხის და მათის სამღვდელოების მოქმედებას, როცა იმათ ეკლესიას და საეკლესიო ქონებას ამასვე უპირებდნენ, წინაღუდგნენ და თუმცა ამ დიდ საქმეს იმათგან დიდი მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ დიდათაც გაიმარჯვეს და მომავალ თაობას ჩვენსავით სატირალი არა დაუტევეს რა. ამ ჟამად საქართველოს ეკლესიის მესამე აქტი სრულდება ამ ასი წლის განმავლობაში და ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ახლა მაინც ორი წინანდელი შეცდომა არ განმეორდეს და საწადელს მივაღწიოთ. ჩვენის მხრით ამისთვის არაფერს უნდა მოვერიდოთ და არაფერი უნდა დავზოგოთ, რომ საწადელს მივაღწიოთ. ამისათვის თქვენც, ყოვლადსამღვდელო და ეპ. კირიონმაც და აგრეთვე ქართველმა პროფესორებმაც მხოლოდ ჩვენის ეკლესიის სასიკეთო განაჩენზედ უნდა მოაწეროთ ხელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელის მოწერაზე უარი უნდა განაცხადოთ, რაც უნდა რისხვა მოგელოდესთ ამისთვის ძლიერთა ამა ქვეყანისათთაგან".

ახლა კი მივმართავ ბ-ნ პეტრე მირიანაშვილს და ვკითხავ: ეკლესიას მარტო სამღვდელოება შეადგენს, თუ მთელი ერი? და განა მარტო სამღვდელოება, რომელიც მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია ერისა, უნდა იბრძოდეს საეკლესიო საქმეებისათვის, თუ მთლად მთელი ერი სამღვდელოებასთან ერთად, როგორც ეს მოიმოქმედეს სომხებმა და რატომ ასევე არ ხდება ჩვენშიაც და მხოლოდ ერის ერთ ნაწილს, სამღვდელოებას, ახვევენ თავზედ ამ მოვალეობას!.. და თუ სამართლიანად განვსჯით, ამ დიად საკითხში ჩვენმა სამღვდელოებამ უკვე ფასი მისია, თუ სავსებით არა, ნახევრად მაინც შეასრულა და ახლა ჯერი ეკლესიის საერო ნაწილზედ მიდგა და იმედია, სურვილს ბოლომდის მიიყვანთ და მოგვასწრებთ, რომ თავისუფალ ეკლესიაში ორივე წოდება თანაბრად ვსხდებოდეთ...

აქვე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ყოვლად სამღვდელო ლეონიდის სიტყვები, რომელსაც იგი ბრძანებს ძველი ავტოკეფალისტის საპასუხო წერილში, რომ, თუმცა საქართველოს ყველა ეპარქიებში წელს სამღვდელოების დეპუტატთა კრებები გურიასამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა კრებაზედ წინად მოხდა, მაგრამ ჩემს ეპარქიის გარდა სამღვდელოების წარმომადგენლებს კრინტიც არ დაუძრავსთ საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიის შესახებო. იანვარში იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ მათს მეუფებას გიორგისა სთხოვა, ნება მიეცა ახალ ეგზარხოსისათვის ვრცელი მოხსენება წარედგინა საქართველოს ეკლესიის აღდგენის შესახებ, მაგრამ მათმა მეუფებამ, გიორგიმ, სწორედ იმ მოსაზრებით იხელმძღვანელა ამ შემთხვევაში, რითაც ეპისკოპოსმა ლეონიდემ ბატ. ვოლჟინის შეხვედრის დროს, ესე იგი: ვინაიდ იმპერატორ ხელმწიფის ბრძანებით საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის განხილვა გადაცემული აქვს რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებასო, საჭირო არ არის ახალ ეგზარხოსს პლატონს ამ ჟამად ამის შესახებ რამე მოვახსენოთო და გაძლევთ პირობას— ბრძანა მათმა მეუფებამ—რომ პირველ მოხერხებულ შემთხვევაშივე თქვენის სახელით მე თვითონ მედგრათ მოვითხოვ ჩვენის ეკლესიის თავისუფლების აღდგენასო. შემდეგ მათმა მეუფებამ ეპისკოპოსმა გიორგიმ, ბატ. ვოლჟინს, მაღალყოვლად უსამღვდელოესის ეგზარხოსის პლატონის თანადასწრებით, ქართველი ერის და მისი სამღვდელოების სახელით მოსთხოვა ქუთაისის საკათედრო ტაძარში, რომ მას, როგორც სინოდის ობერპროკურორს, მხარი დაეჭირა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში, ვინაიდგან უამისოდ ერი და მწყემსნი ვეღარ სცნობენ ერთმანეთსაო.

მღვდ. ვლადიმერ მჭარაშვილი.

## საეპარქიო სასწავლებლის საქმეებისა გამო

ეს ორი თვეა თბილისის საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორი მ. კ. კეკელიძე დანიშნულ იქმნა სემინარიის რექტორად.

კანონის ძალით, სასწავლებლის ინსპექტორის არჩევა ეკუთვნის სასწავლების საბჭოს, მაგრამ ეს უფლება მას ჰყვართვა. საბჭოს გააგებინეს, ნუ შეიწუხებ თავს, ჩვენ თვითონ გიშოვნით კარგ კაცსაო. გამოაშკარავდა მხოლოდ ერთი. იმის საკომპენსაციოდ, რომ მოხდა საწაული და ქართველი კაცი დანიშნეს სემინარიის რექტორად, საეპარქიო სასწავლებლის გამგედ აღარ შეიძლება ქართველი იყოსო. შესთავაზეს აღნიშნული ადგილი რუსს მღვდელთ, სხვა და სხვა შორეულ ადგილებში მყოფთ, და ჯერ ვერავინ დაითანხმესო. ახლა უნდათ ამისთანა სასურველ კანდიდატისათვის შექმნან საეპარქიო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვაში გადიდებული ჯამაგირი 400 თუმნამდის. ჯამაგირის გადიდება ევალება დღევანდელ საეპარქიო კრებას.

ჩვენთვის ენანებათ ქართველი ინსპექტორი საეპარქიო სასწავლებლში. რა გასაკვირველია! ევლოგის ტიპის უფროსები სანამ ბლომადა ჰყავს რუსეთს, მანამდე ასე იქნება. თუ გახსოვთ, გალიცია რომ აიღეს, პოლონურ ადგილებში მაშინვე მოსპეს სამართალი და სწავლა დედა-ენაზე. ასე იყო და ასე იქნებაო. მაგრამ ამნაირი სამართალი კარგს არას უმზადებს მთელ რუსეთს.

ზემო ნათქვამის მიუხედავათ, ქართველმა დეპუტატებმა ხმა უნდა აიმაღლონ და ერთსულოვნად მოითხოვონ, რომ საეპარქიო სასწავლებელში ინსპექტორად ქართველი იყოს.

ორი მესამედი მოწაფეთა ქართველებია. სასწავლებელში ქართული ენა, ქართული გალობა სავალდებულოა. ამ საგნებს როგორ გააუმჯობესებს რუსი ინსპექტორი, კიდეც რომ მოინდომოს? ამ საგნის შესახებ ქართველმა დეპუტატებმა, სხვა ეროვნების დეპუტატების გარეშე, უნდა თავისი აზრი გამოსთქვან, სხვა ეროვნების მოწაფენი ქართველ ინსპექტორს დღემდის არ დაუჩაგრავს და შემდეგაც ასე იქნება. თუ არა და, მთავრობამ ქართველებს ცალკე გაუხსნას სასწავლებელი და სხვებს კიდევ ცალკე.

ბოლოს, ვკითხოთ საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს და იმის თავმჯდომარეს: იციან მათ თუ არა, რომ სასწავლებლის ინსპექტორის არჩევა, უმაღლესად დამტკიცებულ კანონის ძალით, მათი საქმეა? და თუ იციან, რა მოიქმედეს ღირსეულ პირის არჩევის შესახებ? თუ თავისი უფლება არ იციან და ვერც არა მოიქმედეს რა, მაშინ გაგვაგებინონ, ეს საბჭო საბალიაო და სადეკორაციო დაწესებულებაა, თუ ამაზე უფრო კიდევ უარესი?..

ხოსროიანი.

რედაქტორ-გამომცემელი

ხანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ.-გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თბილისიდან გადის:** | | | | |
| ბათუმისაკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისაკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 | „ 58 „ | დილ. |
| **ტფილისში მოდის:** | | | | |
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 6 | „ | 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |


## 1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—1)

## „სორაპანის" გამოცემა

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოში

## კედლის კალენდარი

შედგ. მ. გაჩეჩილაძის ღ გრ. სვ. ჩარკვიანისა

ფასი 70 კაპ.

## სახალხო კალენდარი

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ფასი 30 კაპ.

## 1917

„პარტიით" მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Серапанъ" М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.

გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება"-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.

(12—252—11)

## ვინც იტანჯება ათაშანგით

(სიფილისით)

## ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება

## პრეპარატი

„IODOSTARIN" (იოდოსტარინ)

მთელი კურსის ფასი 30 მ., 1/2 კურსის ფასი 16 მ., 1/4 კურსის ფასი 8 მ. 50 ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტან, თბილისი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

## სპრინცოვკა პროფესორ ტარნოვსკისა

(შეუსაშხაპუნებელი)

## და სუსპენზორიები, მივიღეთ

I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა ბითუმად და წვრილად. ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.

მიმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს, თბილისი, თხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.

ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს გაეგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცისკარისა" ტფილისი, ... № 4.